გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№23 (1565) 7 — 13 ივლისი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

პირსისხლიანი ჯუჯა, რომელმაც 80 წლის მოხუცი დააუთოვა

რატომ არ მიუსაჯეს სამუდამო პატიმრობა სასტიკ დამნაშავეს – სკანდალური საქმის დეტალები

„ბართლომეს ორშაბათი“ თბილისში ანუ ჯვარი ქრისტეს გარეშე

„დედაქალაქი დაეცა, ქართველმა ფაშისტებმა თბილისი აიღეს“ – 5 ივლისის ქრონიკები

სკანდალური ინტერვიუ მიხეილ რამიშვილთან

„კუნთები რომ გასკდება და ვენებს იგლიჯავ, პედოფილებზე ატეხე ერთი ამბავი!“

ქვემო ქართლის პოლიციამ, წყლის დაბინძურების ბრალდებით, ბოლნისში ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ბოლნისის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2001 წელს დაბადებული რ.შ. წყლის დაბინძურების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული ერთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 30 ივნისს, ბოლნისის მუნიციპალიტეტში მდებარე მდინარე ქციაში, დიდი ოდენობით პოლიეთილენის ბოთლი გადაყარა, რითაც აღნიშნული მდინარე დააბინძურა. ფაქტის ამსახველი ვიდეომასალა სხვადასხვა სოციალურ ქსელში გავრცელდა. სამართალდამცველებმა კანონდამრღვევი პირის იდენტიფიცირება მალევე შეძლეს და ბრალდებულის სახით, ბოლნისში დააკავეს. წყლის დაბინძურების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 292-ე მუხლით მიმდინარეობს.

შს მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლებს უმასპინძლა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანასწორობისა და ანტიდისკრიმინაციული კომიტეტის წარმომადგენლებს – ქრისტოფ ლაკრუას და ჯიორჯიო ლოდოს შეხვდა. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ვიზიტად მყოფი დელეგაციის წევრები საქართველოს ფაქტების დამდგენი მისიის ფარგლებში ეწვივნენ. მისიის მიზანია, დისკრიმინაციასთან ბრძოლის კუთხით, სახელმწიფო უწყებების მიერ გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგების შეფასება.

შეხვედრაზე ალექსანდრე დარახველიძემ კომიტეტის წარმომადგენლებს დეტალურად მიაწოდა ინფორმაცია ბოლო წლების განმავლობაში, უწყების მიერ დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, მათ შორის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების შესახებ.

შეხვედრაზე მინისტრის მოადგილემ, ასევე, ყურადღება გაამახვილა დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებელთა კომპეტენციისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით, ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე. მხარეებმა აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლებმა, განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, ბოლო წლებში გატარებული ღონისძიებები პოზიტიურად შეაფასეს. დელეგაციის წევრებმა ხაზი გაუსვეს, „თბილისი პრაიდის“ კვირეულის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, უსაფრთხოების დაცვის მიზნით გატარებულ ეფექტიან ზომებს.

შსს-მ ტრეფიკინგის ბრალდებით, თბილისში ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული მოქმედებების შედეგად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 1984 წელს დაბადებული გ.ჩ. თბილისში დააკავეს. დანაშაული 7-დან 12-წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დაადგინა, რომ ბრალდებულმა გ.ჩ.-მ, მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, შეიმუშავა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გეგმა. იგი 1976 წელს დაბადებულ ნ.ჩ.-ს სისტემატურად უწევდა შრომით ექსპლუატაციას, კერძოდ, დამცირებით, აბუჩად აგდებითა და ფიზიკური ძალადობის გამოყენების მუქარით, აიძულებდა თბილისის სხვადასხვა ქუჩებში, ყოველდღიურად მოწყალება ეთხოვა. ბრალდებული ნ.ა.-ს მიერ აღნიშნული გზით შეგროვებულ თანხებს ისაკუთრებდა. ტრეფიკინგის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 143 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

შსს-მ ერთ-ერთი ტელეკომპანიის გადამღებ ჯგუფზე ძალადობისა და ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის ფაქტთან დაკავშირებით, ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის წალკის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ტელეკომპანია „პირველის“ გადამღებ ჯგუფზე მომხდარ თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით, 1967 წელს დაბადებული გ.ა. წალკაში დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ გ.ა., მიმდინარე წლის 30 ივნისს, წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროში, ტელეკომპანია „პირველის“ ჟურნალისტსა და ოპერატორს დაუპირისპირდა, მათ შეურაცხყოფა მიაყენა და პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში უკანონოდ შეუშალა ხელი. დანაშაული 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ძალადობისა და ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის ფაქტზე, გამოძიება საქართველოს სსკ-ის 126-ე და 154-ე მუხლებით მიმდინარეობს.

შიდა ქართლის პოლიციამ გორში მომხდარი მკვლელობის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული შ.გ. გორში დააკავეს.

მას ბრალი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში ედება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

დანაშაული 4– დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 3 ივნისს, ქალაქ გორში, 1979 წელს დაბადებული ზ.რ., ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაში მიყვანიდან მალევე გარდაიცვალა.

პოლიციის მიერ ბრალდებული პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებულია, სავარაუდოდ, ნარკოტიკული საშუალების შემცველი ფხვნილისებრი ნივთიერება და 5 მოთეთრო აბი.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე და სსკ-ის 260-ე მუხლებით მიმდინარეობს.

საქართველოს სანაპირო დაცვის ხომალდ „სოხუმისა“ და ბრიტანული ხომალდ HMS DEFENDER-ის მონაწილეობით, შავ ზღვაში ერთობლივი წვრთნები გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სადარაჯო ხომალდ „სოხუმისა“ და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საზღვაო ძალების ხომალდ HMS DEFENDER-ის ეკიპაჟების მონაწილეობით, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, ერთობლივი საზღვაო წვრთნები გაიმართა.

სწავლება რამდენიმე ფაზად განხორციელდა და მოიცავდა სხვადასხვა ელემენტს, მათ შორის, სამოქალაქო ხომალდების გადაადგილების მონიტორინგს, ეჭვმიტანილი ხომალდის ადგილმდებარეობის განსაზღვრას და მათ გამოკითხვას, დაზიანებული ხომალდის ბუქსირების იმიტაციასა და საზღვაო მანევრებს.

ერთობლივი წვრთნები ბრიტანელი კოლეგების გამოცდილების გაზიარებას, საქართველოს სანაპირო დაცვის შესაძლებლობების განვითარებასა და ორი ქვეყნის საზღვაო დანაყოფების ერთობლივი მოქმედებების დახვეწას ისახავდა მიზნად. საზღვაო სწავლება დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს სამხედრო საზღვაო ფლოტის საჰაერო თავდაცვის თანამედროვე ტიპის გამანადგურებლის – HMS DEFENDER-ის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა. გემი ბათუმის ნავსადგურში 26 ივნისს შემოვიდა. ხომალდის ვიზიტი მიზნად ისახავს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში, გაერთიანებულ სამეფოსა და საქართველოს შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობის დემონსტრირებას.

„ბართლომეს ორშაბათი“ თბილისში ანუ ჯვარი ქრისტეს გარეშე

ნინო დოლიძე

„... შავმაისურიანებმა დილიდანვე დაიწყეს შეკრება რუსთაველის გამზირზე. მათ, სამართალდამცავების მხრიდან ყველანაირი წინაღმდეგობის გარეშე, დაიკავეს ქალაქის ცენტრი. 2021 წლის 5 ივლისს, შუადღისას, დედაქალაქი დაეცა, ქართველმა ფაშისტებმა თბილისი აიღეს, პარლამენტის წინ ევროკავშირის დროშა ჩამოხსნეს და იქ ჯვარი აღმართეს, ჯვარი ქრისტეს გარეშე, როგორც ადამიანების წამებისა და სიკვდილის იარაღი, როგორც სასიკვდილო განაჩენი და მუქარა ყველა თავისუფალი ადამიანისათვის. ხოლო 6 ივლისს, გამთენიისას... საინტერესოა, რა ეწერება 6 ივლისზე“, – ასე შეაფასა პოეტმა რატი ამაღლობელმა 5 ივლისს, ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს დედაქალაქში განვითარებული ძალადობრივი მოვლენები.

„დედაქალაქი დაეცა, ქართველმა ფაშისტებმა თბილისი აიღეს“ – 5 ივლისის ქრონიკები

ერთი შეხედვით, ზუსტი შეფასებაა, მაგრამ მაინც, რა მოხდა 5 ივლისს – რატომ დარბოდა ქუჩა-ქუჩა გავეშებული ბრბო, რომელიც არავის ინდობდა? – ამ კითხვაზე პასუხს, ალბათ, ისტორია გასცემს, მაგრამ გარკვეული დასკვნების გაკეთება ახლაც შეიძლება.

დავიწყოთ იმით, რომ ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა თბილისი მსგავსი ძალადობის მოწმე გახდა. პირველად ასეთი აგრესია 2013 წლის 17 მაისს ვნახეთ, როცა „ტაბურეტკებით“ შეიარაღებული სასულიერო პირები რუსთაველზე პირგავეშებულები დარბოდნენ და განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებს სასიკვდილოდ სცემდნენ. კუნთმაგარი წვეროსნები მაშინაც ვნახეთ, მაგრამ 2013-ის მოვლენები 5 ივლისის „ბართლომეს ორშაბათისგან“ განსხვავდებოდა. განსხვავდებოდა იმიტომ, რომ მაშინ მედიაზე არავინ ძალადობდა. ახლა? ახლა კი რადიკალების მთავარი სამიზნე, სწორედ ე.წ. მეოთხე ხელისუფლება იყო ანუ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მოძალადეებს ჟურნალისტების სიკვდილამდე ცემა ვიღაცისგან ჰქონდათ დავალებული.

ზოგადად, ამ ვერსიას არსებობის უფლება აქვს, მაგრამ ფაქტების გარეშე, არაფრის დამტკიცება შეიძლება. ამიტომ, ამ კუთხით მსჯელობის გაგრძელება არ ღირს...

ისე, საგულისხმოა, რომ რადიკალები დედაქალაქში სხვადასხვა რეგიონიდან, როგორც ამბობენ, ორგანიზებულად ჩამოიყვანეს, თან ისიც გასათავლისწინებელია, რომ ვიდრე დედაქალაქში გამოემგზავრებოდნენ, სპეციალურად ამ რადიკალებისთვის, ადგილობრივმა სასულიერო პირებმა პარაკლისი გადაიხადეს ანუ რა გამოდის? – 5 ივლისის ძალადობის კვალი პირდაპირ ეკლესიამდე მიდის?

ზოგადად, ეკლესია ფართო მცნებაა. ამიტომ, ალბათ, უმჯობესია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ეკლესიის ნაცვლად, მახვილი საპატრიარქოზე დავსვათ.

იდგა თუ არა 5 ივლისის ძალადობის უკან საპატრიარქო? – ესეც საკამათო საკითხია, თუმცა 5 ივლისს, საღამოს, როცა ვითარება ცოტა დამშვიდდა, საპატრიარქომ საგანგებო განცხადება გაავრცელა და თქვა, რომ იმ სასულიერო პირების საკითხზე, რომლებიც ძალადობაში პირდაპირ თუ ირიბად იყვნენ ჩართულნი, მოგვიანებით იმსჯელებს. ისე, სასულიერო პირიც საქართველოს მოქალაქეა, შესაბამისად, კანონი და კონსტიტუცია მასზეც ვრცელდება და საკითხავია, თუ ვინმეს ცხვირ-პირს დაუსისხლიანებს, სისხლის სამართლებრივი პასუხისგებლობის საკითხი რატომ არ უნდა დადგეს?

დავუბრუნდეთ ისევ „ბართლომეს ორშაბათს“. კი ბატონო, გასაგებია, რომ საქართველო ტრადიციების ქვეყანაა და იგივე ლგბტქ საზოგადოებას ზედმეტი მოსდის, მაგრამ აქ ერთი დეტალია საყურადღებო – 5 ივლისს, ქუჩაში, ზემოხსენებული საზოგადოების ერთი წარმომადგენელიც არ გამოსულა. ამასთან, „ღირსების მარშიც“ გადაიდო. აბა, მაშინ საკითხავია, კუნთმაგარი წვეროსნები ქუჩებში რატომ დარბოდნენ და ვისგან იცავდნენ ქვეყანას – ევროკავშირის დროშისგან, რომელიც პარლამენტის წინ იყო აღმართული და რომელიც ჩამოხიეს?

სწორედ ამ დროშის ჩამოხევამ გააჩინა გონივრული ეჭვი, რომ 5 ივლისის მთავარი მიზანი ქართული ტრადიციების დაცვა კი არა, არამედ, საქართველოს დასავლური კურსის შეცვლა იყო!

Protesters storm the office of LGBT+ campaigners at a rally against the planned March for Dignity during Pride Week in Tbilisi, Georgia July 5, 2021. REUTERS/Irakli Gedenidze

სხვათა შორის, ალბათ, მიაქციეთ ყურადღება, რომ „ბართლომეს ორშაბათს“, ფალავანდიშვილი აქტიურობდა და არა – ლევან ვასაძე. ვასაძეს „საპატიო“ მიზეზი ჰქონდა – 5 ივლისამდე რამდენიმე დღით ადრე, მოულოდნელად, ავად გახდა. ღმერთმა ჯანმრთელად ამყოფოს „რაინდი“, მაგრამ კულუარებში უშვებენ ვერსიას, რომ 5 ივლისის მოვლენებს, უბრალოდ, ჩამოაცილეს. თუ ეს ვერსია მყარია, მაშინ იბადება კითხვა – ვინ ან რატომ გადასვა ვასაძე სათადარიგო სკამზე?

ყველამ იცის, რომ „რაინდი“ ჩრდოლოეთური პროექტია. მართალია, ამას თავად კატეგორიულად უარყოფს, მაგრამ თუ იგივე ევროკავშირის დროშის დახევა-ჩამოხევა დაგეგმილი იყო, მაშინ ვასაძის მოვლენების ეპიცენტრში ყოფნით, აშკარად დადასტურდებოდა, რომ 5 ივლისი კრემლმა დაგეგმა.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ვარაუდია, რომელსაც არსებობის უფლება აქვს, მაგრამ სახელმწიფო იმისთვის არსებობს, რომ ყველა შესაძლო რისკი წინასწარ გათვალოს. ამას გარდა, სახელმწიფოს პირველმა პირებმა ისეთი განცხადებები უნდა გააკეთონ, რომ ისედაც მყიფე ვითარება უარესად არ დაძაბონ, თუმცა სამწუხაროდ, ჩვენ სხვა რეალობაში ვართ ანუ ჯერ კიდევ 5 ივლისამდე, უმაღლესი პირები ღიად და დაუფარავად ამბობდნენ, რომ „თბილისი პრაიდი“ არ უნდა გამართულიყო. ხელისუფალთა ეს გულწრფელი განცხადება ძალადობრივმა ჯგუფებმა, როგორც ჩანს, საკუთარ მხარდაჭერად აღიქვეს და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.

ყველაფერ ამაში კი ყველაზე ცუდი ისაა, რომ 5 ივლისის ცემა-ტყეპას დასავლეთის მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. კერძოდ, საქართველოში აკრედიტირებულმა დიპლომატიურმა კორპუსმა საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია:

„ჩვენ ვგმობთ დღევანდელ ძალადობრივ თავდასხმებს სამოქალაქო აქტივისტებზე, საზოგადოების წევრებსა და ჟურნალისტებზე და ასევე ხელისუფლების ლიდერებისა და სასულიერო პირების მხრიდან, ამ ძალადობის არდაგმობას. მშვიდობიან შეკრებაში მონაწილეობის უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. ძალადობა, უბრალოდ, მიუღებელია და მას გამართლება არ აქვს. ის, ვინც აქეზებს ან იმუქრება ძალადობის ჩადენით, ან სჩადის ძალადობრივ ქმედებას, ხელს უშლის საქართველოს სამართალდამცველებს მშვიდი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაში. ისინი სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგნენ კანონის სრული უზენაესობის დაცვით. ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს ყველა ლიდერს და სამართალდამცავ უწყებებს, იმოქმედონ დაუყოვნებლივ და დაიცვან ის ადამიანები, რომლებიც სარგებლობენ შეკრებისა და გამოხატვის კონსტიტუციური უფლებებით, დაიცვან ჟურნალისტები, რომლებიც მოქმედებენ თავისუფალი პრესის პრინციპების მიხედვით და საჯაროდ დაგმონ ძალადობა“.

შეგახსენებთ: ამ განცხადებას ხელს ავსტრიის, ბულგარეთის, ესტონეთის, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის, ფინეთის, საფრანგეთის, გერმანიის, საბერძნეთის, ირლანდიის, ისრაელის, იტალიის, ლატვიის, ლიეტუვას, ნიდერლანდების, ნორვეგიის, ესპანეთის, შვედეთის, გაერთიანებული სამეფოს, გაეროს სისტემის საქართველოში, შეერთებული შტატების საელჩო და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა აწერს.

ერთი სიტყვით, 5 ივლისი საქართველოს უახლოეს ისტორიაში კიდევ ერთი სირცხვილია, სირცხვილი, რომელიც ხშირად გაგვახსენდება და რომლის ჩამორეცხვასაც, ალბათ, წლები დასჭირდება!

მაია მიშელაძე, 593-51-90-12

საბავშვო ბაღებში დარღვევებია აღმოჩენილი

თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ინფრასტრუქტურა მოქმედ სტანდარტებს არ შეესაბამება

სახელმწიფო აუდიტის სამსახური სკოლამდელი აღზრდით დაინტერესდა. ვრცელი ანგარიში, რომელიც უწყებამ გამოაქვეყნა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანობას ეხება. აუდიტი საქართველოს ოთხ თვითმმართველ ქალაქში – თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და ფოთში არსებულ საბავშვო ბაღებში განხორციელდა. ეს ქალაქები მათი სიდიდის, სერვისით მოსარგებლე ადამიანების რაოდენობისა და დაფინანსების მოცულობის გათვალისწინებით შეარჩიეს. ანგარიშში სრულადაა ასახული, თუ როგორ უზრუნველყოფენ შერჩეული ქალაქების სააღმზრდელო დაწესებულებები ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებულ პროცესებს, როგორ პასუხობს თითოეული მათგანი ბავშვის ინტერესებსა და საჭიროებებს და რამდენად უზრუნველყოფს უსაფრთხო ან ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნას. როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფო აუდიტორებმა საკმაოდ სერიოზული დარღვევები გამოავლინეს, თუმცა მათი გამოსასწორებელი რეკომენდაციებიც გასცეს.

დავიწყოთ იმით, რომ სკოლამდელი განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის შემდგომი განვითარებისა და მისი პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ ადრეული განათლება უმნიშვნელოვანესი ინვესტიციაა ბავშვის მომავალი აკადემიური, პიროვნული და სოციალური განვითარებისთვის, ასევე, მთლიანად საზოგადოების განვითარებისთვის. საქართველოში, საბავშვო ბაღების საქმიანობის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. 2014-2019 წლებში, სახელმწიფომ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განახორციელა სკოლამდელი აღზრდის სისტემის ძირეული ცვლილებისთვის. ახალი რეფორმების მიზანია, რომ მოვლის ნაცვლად, საბავშვო ბაღებმა აღზრდის ფუნქცია შეითავსონ.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა, სწორედ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეფორმის მიმდინარეობის პროცესი და რაც მთავარია, კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან – ბაღების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, თვითმმართველ ქალაქებში განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობა შეისწავლეს.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, საბავშვო ბაღების ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და აქვს შემდეგი ნაკლოვანებები: თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის მუნიციპალიტეტებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნის მიუხედავად, არ გაუტარებიათ სათანადო ღონისძიებები, რათა ბაღების საქმიანობა დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისი ყოფილიყო. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არ არსებობს ერთიანი ხედვა, თუ როდის უნდა უზრუნველყონ მერიებმა საბავშვო ბაღების სტანდარტებთან შესაბამისობა. პასუხისმგებელი ორგანოების საქმიანობა ბაღების განახლებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, არ არის თანმიმდევრული. მენეჯმენტი ძირითადად მიმართულია ყოველდღიური ოპერატიული ამოცანების გადაჭრისკენ და არ მოიცავს ისეთ აქტივობებს, რომლებიც გრძელვადიანად არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

გარდა ამისა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე საზოგადოების მხრიდან მზარდი მოთხოვნების გათვალისწინებით, ამ პრობლემების აქტუალობა მომავალშიც გაიზრდება. აუდიტორების მტკიცებით, სათანადო ღონისძიებების განუხორციელებლობის გამო, წინსვლა არ არის ბაღების ავტორიზაციის კუთხითაც. ავტორიზაციის პროცესი, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბერს უნდა დასრულებულიყო, 2020 წლის 31 დეკემბრამდე გადაიდო, თუმცა მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილეს და ვადა კიდევ ერთხელ – 2021 წლის 31 დეკემბრამდე გახანგრძლივდა.

„თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის მუნიციპალიტეტებში არსებული ინფრასტრუქტურული რესურსი ვერ აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის შესაძლებლობების გასაზრდელად, 2014-2019 წლებში, ახალი ბაღების მშენებლობაზე – 43 999 400 ლარი, ხოლო არსებული ბაღების რეაბილიტაციაზე – 5 591 200 ლარი დაიხარჯა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურა არ შეესაბამება მოქმედ სტანდარტებს! გამოვლენილი გარემოება მიუთითებს მენეჯმენტის მხრიდან, სტანდარტების მიმართ არასათანადო დამოკიდებულებაზე, რადგან შესაძლებელი იყო ახლადაშენებული ბაღების მოქმედ სტანდარტებთან სრულად შესაბამისობაში მოყვანა. საჯარო ბაღებში არსებული ინფრასტრუქტურის მოცულობა ვერც სერვისზე არსებული მოთხოვნის სათანადოდ დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ ბაღების შენობები სრულად არ არის აღჭურვილი კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების შესაბამისი სახანძრო უსაფრთხოების სისტემით. შესაბამისად, 2014-2019 წლებში, მუნიციპალიტეტების მხრიდან ინფრასტრუქტურის განვითარებაზე განხორციელებული ღონისძიებები, მიწოდებული სერვისის ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით, არასაკმარისია და ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას“.

სახელმწიფო აუდიტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ მუნიციპალიტეტების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს არ გააჩნიათ საკმარისი ადამიანური რესურსი, რათა საბავშვო ბაღების საქმიანობა მოქმედ სტანდარტებს შეუსაბამონ. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აღმზრდელთა არასაკმარისი რაოდენობა აისახება სწავლების მეთოდოლოგიურ მხარეზე, რაც შესაძლებელია აღსაზრდელთა სათანადო ხარისხით სასკოლოდ მზაობისთვის მნიშვნელოვანი ხელშემშლელი ფაქტორი გახდეს. ასევე, პედაგოგების ნაკლებობა ხელს უშლის საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას.

აუდიტორების მტკიცებით, მიუხედავად არსებული მდგომარეობისა, შესაბამის პასუხისმგებელ პირებს არ გაუტარებიათ სათანადო ღონისძიებები ამ პრობლემის გადასაჭრელად. არ არსებობს დროში გაწერილი გეგმა, რომლის მიხედვით, პედაგოგებისა და აღსაზრდელების რაოდენობა კანონთან შესაბამისობაში იქნება მოყვანილი. არადა, ამ პრობლემის მოგვარება მნიშვნელოვანია სკოლამდელი აღზრდის სერვისის გასაუმჯობესებლად.

„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს არ გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაციის მქონე საკმარისი ადამიანური რესურსი, რათა საბავშვო ბაღების საქმიანობა შეუსაბამონ მოქმედ სტანდარტებს. ეს აისახება სწავლების მეთოდოლოგიურ მხარეზე, რადგან პედაგოგთა კვალიფიკაცია არსებითი კომპონენტია ბავშვთა სასკოლო მზაობისათვის. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს არ აქვთ შემუშავებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს იმ პედაგოგების გადამზადებას, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. ბაღებში დაცული არ არის პედაგოგების უწყვეტი განათლების ორგანიზების პრინციპი, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ამცირებს სერვისის ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობებს“.

დარღვევები გამოვლინდა საბავშვო ბაღებისთვის აუცილებელი ინვენტარის შეძენის ნაწილშიც. კერძოდ, თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის საბავშვო ბაღების დანახარჯების სტრუქტურის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ბავშვების ინტელექტუალური განვითარებისთვის საჭირო ინვენტარის შეძენას. აღნიშნული ინვენტარის შესაძენად გაწეული ხარჯები, ბაღების მთლიან გადასახდელებში აუდიტის ობიექტების მიხედვით, 0.04%-დან 0.7%-მდე მერყეობს. არადა, საბავშვო წიგნების, დამხმარე ინვენტარისა და სათამაშოების შესყიდვა უმნიშვნელოვანესია სააღმზრდელო საქმიანობის ნორმალურად წარმართვისა და ბავშვის სკოლამდელი მზაობის უზრუნველყოფისთვის. ამის მიუხედავად, საბავშვო ბაღებში, სწორედ ამ ინვენტარის შეძენას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ.

დარღვევებთან ერთად, სახელმწიფო აუდიტორებმა რამდენიმე რეკომენდაციაც შეიმუშავეს, რომელიც შესაბამისმა უწყებებმა, ამ შემთხვევაში, ბაღების საგენტოებმა უნდა გაითვალისწინონ. კერძოდ, საუბარია დროში გაწერილ ერთიან სტრატეგიაზე:

თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის მუნიციპალიტეტების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებმა, შესაბამის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებთან კონსულტაციის საფუძველზე, უნდა შეიმუშაონ საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგია. დოკუმენტში იმ აქტივობებისა და ღონისძიებების გრძელვადიანი გეგმა უნდა აისახოს, რომლითაც უზრუნველყოფენ, როგორც არსებული სიტუაციის გაუმჯობესებას, ასევე, საჯარო ბაღებზე მოსახლეობის მხრიდან მზარდ მოთხოვნასთან შესაბამისობას. ამასთან, პასუხისმგებელმა პირებმა შეისწავლონ საბავშვო ბაღებში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მდგომარეობა და მის მოსაწესრიგებლად გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები. ეს ხელს შეუწყობს საბავშვო ბაღების რეფორმირების პროცესის წარმართვას ისე, რომ მაქსიმალურად სწრაფად იქნეს დაკმაყოფილებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების სტანდარტები.

პოზიტიური სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნისა და სერვისის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებმა მოიძიონ დამატებითი ფინანსური რესურსები და საბავშვო ბაღები უზრუნველყონ საკმარისი ადამიანური რესურსით. უმნიშვნელოვანესია, რომ სასკოლო მზაობის პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის, ბაღებმა შეისყიდონ საჭირო ინვენტარი და დამხმარე მასალა. შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა უნდა შეიმუშაონ აღმზრდელ-პედაგოგების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სტრატეგია და მაქსიმალურად მოკლე დროში უზრუნველყონ კანონით განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ფორმირება. დაგეგმილი რეფორმების საპასუხოდ მნიშვნელოვანია, ბაღებმა შეიმუშაონ აღმზრდელ-პედაგოგების უწყვეტი განათლების უზრუნველყოფის სისტემა“.

„კუნთები რომ გასკდება და ვენებს იგლიჯავ, პედოფილებზე ატეხე ერთი ამბავი!“

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

5 ივლისს, თბილისში, „თბილისი პრაიდი“ უნდა გამართულიყო, თუმცა ლგბტქ საზოგადოებამ გადაწყვეტილება შეცვალა, რადგან დილიდან, რუსთაველზე, საპატრიარქოს წარმომადგენლები და რადიკალურად განწყობილი ჯგუფები მივიდნენ. პარლამენტის წინ თემირლან მაჩალიკაშვილის, თამარ ბაჩალიაშვილისა და სამოქალაქო აქტივისტების კარვები დაარბიეს; თავს დაესხნენ მედიის წარმომადგენლებს, სასტიკად ნაცემია რამდენიმე ოპერატორი, ფიზიკურად გაუსწორდნენ ჟურნალისტებს და დაარბიეს მოიძრაობა „სირცხვილიას“ ოფისი... მოძალადე ჯგუფები ქუჩებში დასდევნდნენ ფერადტანსაცმლიან ბავშვებს, საყურის ტარებისთვის თავს დაესხნენ ტურისტს, რომელსაც ოპერაცია დასჭირდა... ყველაზე აღმაშფოთებელი კი ისაა, რომ მოძალადე ჯგუფები ყველაფერ ამას, ქრისტეს სახელით აკეთებდნენ... 5 ივლისის ბატალიებს, სოციალურ ქსელში, ადვოკატი მიხეილ რამიშვილი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ თამარ ბაჩალიაშვილის კარვის დარბევა უღირსობაა. „ვერსია“ ადვოკატთან ინტერვიუს გთავაზობთ.

სპანდალური ინტერვიუ მიხეილ რამიშვილთან

– ბატონო მიხეილ, ბაჩალიაშვილის მშობლები რუსთაველზე კარვის გაშლას ისევ აპირებენ?

– ჩემი პოზიციაა, რომ ისევ გაგრძელდეს ოჯახის პროტესტი. ბაჩალიაშვილის, მაჩალიკაშვილის კარვები დაარბიეს და ეს აბსოლუტურად არაა კავშირში ლგბტქ პარადთან. გუშინ ვუსმენდი ჟურნალისტებისა და სხვა ადამიანების განცხადებებს და სიტყვა „შესაძლებელია“, ჩემთვის ყველანაირად მიუღებელია. ეს არის პირდაპირ დაგეგმილი, გარკვეული სასულიერო და საერო პირების მიერ. როცა ეკლესიის სახელით ლაპარაკობ, ეკლესია კი მშვიდობაზე, სიყვარულზეა დაფუძნებული და ამ დროს, არაადეკვატურ ქმედებებზეა უმრავლესობა გადასული... როცა ჟურნალისტი ამბობს, რომ მღვდელი თმით ითრევს, ემუქრება, წარმოუდგენელია! დავინახე, რომ რამდენიმე მამაო გადაეფარა ჟურნალისტს, მაგრამ ამავე დროს, დავინახე უმრავლესობა მამაოებისა, რომლებიც ორგანიზებულად ანთხევდნენ აგრესიას და რომლებსაც შეეძლოთ, გაენეიტრალებინათ სიტუაცია, რადგან ეს მათი ვალდებულება იყო.

ყველაზე აღმაშფოთებელი ისაა, რომ ნებართვას აძლევენ, ქუჩა-ქუჩა, უბან-უბან იარონ ამ ჯგუფებმა და ნებისმიერი შეხედულებისამებრ, თავს ესხმიან ადამიანებს. ხომ შეიძლებოდა, ამას უფრო დიდი უბედურება მოჰყოლოდა? აქ ჩანს, რომ ხელისუფლებას ჰქონდა მათთვის მწვანე ანთებული, თორემ ვერც ერთი ადამიანი ვერ გაბედავდა ასეთ უკანონობასა და თავაშვებულობას. უნდათ, შექმნან განწყობა, რომ მათი გვეშინოდეს. ეს არის ხელისუფლებისგან მართული სიტუაცია იმიტომ, რომ კონსტიტუცია, რომელიც ქვეყნის უზენაესი კანონია, ხელისუფლების მიერ იგნორირებულია. აქ სამართალზე აღარაა ლაპარაკი და იწყება დიქტატურა. მართლმადიდებლობა სიყვარულს, სითბოსა და შენდობას ქადაგებს. არანაირი პარადი არ მინახავს. ამდენი რაოდენობით კუნთმაგარი ბიჭი გამოდის და იმუქრება, კარგი, რა! ყველაფერი ისე უნდა დაგეგმო და ისეთი ფონი შექმნა, ადამიანებს დაანახო, რომ მართლა ეროვნულ საქმეს აკეთებ. ამას კი ეროვნული საქმე არ ჰქვია, 1921 წელი მეორდება 2021 წელს! როგორც მაშინ, საბჭოთა რუსეთმა ანექსია და ოკუპაცია მოახდინა საქართველოსი, იგივე ხდება 2021 წელსაც... არანაირი ევროპა და ამერიკა არ უნდათ, ამბობენ, თაობების გარყვნა ხდებაო და ამ დროს, ყველა პოლიტიკოსს, ბიზნესმენს თუ თანამდებობის პირს ქონება და სიმდიდრე ევროპაში აქვს. ჩვენმა შვილებმა ევროპაში არ მიიღონ განათლება?! მაშინ გადავიდეთ მათ „რასიაში“ და გავხდეთ რუსეთის გუბერნია! ეს ჩემი რწმენითა და შეხვედულებით, დავალებაა რუსეთის მხრიდან, რომ შექმნას ფონი, რათა ევროპამ ჩვენზე ხელი ჩაიქნიოს.

– ძალიან სახიფათო თამაშია ეს, ბატონო მიხეილ!

– სახიფათოა და ფარად გამოიყენეს ლგბტქ-ს თემა. ჟურნალისტებზე ასეთი თავდასხმა, თითის ქნევა, მუქარა დაუშვებელია! ხელისუფლებამ ვერ შეძლო ის, რომ ყველაფერი ეს აღეკვეთა.

– კარვების დარბევას რაც შეეხება, ხომ არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამის უკან პოლიტიკური ანგარიშსწორება დგას?

– კი არ უნდა ვიგულისხმოთ, არამედ, ეს პირდაპირ ასე იყო. ყველას კარავი რომ აეღოთ, მათ შორის, ოპოზიციის, შვილმკვდარი მამის კარავი არ უნდა დაარბიო, თუ ზრდილობა და ღირსება გაგაჩნია! როგორ შეიძლება, მოკლული 23 წლის გოგოსა და 19 წლის ბიჭის სურათებს შეეხო, რაც უნდა „ერის გადასარჩენად“ გამოხვიდე?! ამდენი ვაჟკაცობა ხომ უნდა გქონდეს?! ერთ ადამიანზე როგორ უნდა იქაჩებოდეთ ამხელა კუნთმაგარი ბიჭები? წადი ოკუპირებულ ტერიტორიებზე და იქ დაანახე რუსეთს, თუ რამის შნო და თავი გაქვს! ოპერატორებს ურტყამდა ამდენი ადამიანი და მაგათ აქვთ ვაჟკაცობა? ქართველობასა და სტუმარ-მასპინძლობაზე დებენ თავს და დალოცვილიშვილო, ქართული ტრადიცია ასეთია – ქალს ხელი არ უნდა დაარტყა, ერთ კაცს ათმა კაცმა ხელი არ უნდა დაარტყა! არადა, ერთს ურტყამდა 20 კაცი, ქალს წიხლებს ურტყამდნენ და ეგენი სუფრასთან როგორ უნდა დადგნენ და როგორ უნდა თქვან ვაჟკაცობის სადღეგრძელო?! რომელ ვაჟკაცობაზე ლაპარაკობენ? როგორ მოხსნეს ბაჩალიაშვილისა და მაჩალიკაშვილის სურათები?! მათ შეასრულეს დავალება და მღვდლები, რომლებიც ასე იქცოდნენ, არიან მკვდრები, არანაირად არ დადიან იესოს გზაზე.

– ბატონო მიხეილ, საპატრიარქო მომხდარზე პასუხისმგებლობას ლგბტქ საზოგადოებას აკისრებს. ეს ადეკვატურია?

– არა, სად იყო იქ ლგბტქ საზოგადოება? ბავშვებსა და ჟურნალისტებს დასდევდნენ... უცხოელი ტურისტისგან რა უნდოდათ?! ამაზე ვინ აგებს პასუხს, ლგბტქ საზოგადოება? დავანებოთ თავი, საკუთარი ცხოვრება აქვთ მათ... ჩემი ნება რომ იყოს, დღევანდელი ხელისუფლების ყველა პოლიტიკოსს პერსონა ნონ-გრატად გამოვაცხადებინებდი ამერიკელებს და ევროპელებს. ყველას უნდა დაუყადაღო ქონება და წაიღონ რუსეთში იმიტომ, რომ ასრულებენ რუსეთის მოთხოვნას, რათა საქართველო გახდეს რუსეთის გუბერნია. საკუთარი შვილებისთვის ყველაფერი უნდათ და ჩვენ რუსეთში უნდა „შეგვტენონ“! ეგრე არ არის ცხოვრება! მაშინ გაიხადონ ევროპული ტანსაცმელი, გაყიდონ ევროპული ავტომობილები, გადასხდნენ „ნივაზე“, „მოსკვიჩზე“, „ლადაზე“ და დაისვენონ რუსეთში... გვეუბნებიან, ევროპა გვღუპავსო, ევროპაში ძალიან კარგადაა დაცული ოჯახური ტრადიცია, წესიერება, პატიოსნება, კაცობაცა და ვაჟკაცობაც. რომ დაგვიხურონ კარები, საერთოდ არ შეგვიშვან ევროპაში, რა ვქნათ?!

– დიახ, საინტერესოა, დასავლეთისგან როგორი გამოხმაურება მოჰყვება ამ ამბავს...

– დღეს თავისუფალი მიმოსვლაა და რომ დაგვიკეტოს ევროპამ კარები, ვინ გვარჩენს? მერე კისერზე გაგვიკეთებენ ყელსაბამს და ასე ვეყოლებით. რას ვგავართ, რას დავემსგავსეთ?! მაღალი იერარქიის სასულიერო პირები დარბიან და რას აკეთებენ, ეს არის ღმერთისა და ქრისტეს გზა? შემეკითხონ საერთოდ, რა ხდება ეკლესიაში, მე რომ ვიცი საიდუმლოები, მაგათ ჩემზე არანაკლები იციან. თუ ჯაღმაიძეს ავიწყდება, ეკლესიაში რომ მელაპარაკებოდა? გაიხსენოს, სიონში რა გარიგებაზე მიდიოდა საუბარი დეკანოზის საქმესთან დაკავშირებით! თუ ავიწყდებათ ყველაფერი? მორჩნენ გადაბრალებას, რა! ასი წლის თავზე, იგივე მეორდება, სერგო ორჯონიკიძეები და ფილიპე მახარაძეები 21-ე საუკუნეში, ნამდვილად არ მჭირდება! კიდევ ვიმეორებ, ყველამ, ვისაც ევროპა არ უნდა და ფიქრობს, რომ ევროპა გარყვნილების ბუდეა, ჩამოიტანონ საკუთარი ქონება, დააბრუნონ შვილები და გაუშვან რუსეთში.

იცით, მალე რის წინაშე დავდგებით? ვიტყვით, ეს რა გავაკეთეთ და სად აღმოვჩნდითო! როდესაც ერს იდეოლოგია არ გააჩნია, პატრიოტიზმი ის კი არაა, დაარბიო ადამიანი, რომელიც თავის საქმეს აკეთებს და მერე გადმოხტე და ცეკვა დაიწყო. წადი, ძმაო, აფხაზეთი და სამაჩაბლო დაიბრუნე და მერე იცეკვე! კუნთები რომ გასკდება და ვენებს იგლიჯავ, როგორ უნდა შეეხო შვილმკვდარი მამების კარავს?! ჭიქის აწევა მაგარი იციან, პედოფილებზე ატეხონ ერთი ამბავი, ხმას რატომ არ იღებენ ამაზე?! რომ ახტნენ და დროშა ჩამოაგდეს, თითქოს, აფხაზეთში საქართველოს დროშა ააფრიალეს. კარგი, რა, სირცხვილია!

რის გამო დაიწყო უთანხმოება გიორგი ვაშაძესა და ევროპული საქართველოს ლიდერს შორის

„ვწუხვარ, რომ გიგა ამ დონეზე დაეცა და ტყუილებს კადრულობს!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ევროპული საქართველოს თავმჯდომარე გიგა ბოკერიამ ბრიუსელში ვიზიტისას განაცხადა, რომ პოლიტიკური კრიზისის შემდეგ, მნიშვნელოვანი იყო საქართველოს პარტნიორებთან შეხვედრა და მათთვის ინფორმაციის მიწოდება. ბოკერიას თქმითვე, მთავრობის პროპაგანდის პარალელურად, არსებობს ოპოზიციის ნაწილის პროპაგანდაც, რომ საქართველოში კრიზისი დასრულდა.

„სამწუხაროდ, მთავრობის პროპაგანდა ხომ არსებობს და არსებობს ოპოზიციის ნაწილის პროპაგანდაც, რომ რაღაც ისტორიული გარღვევა მოხდა საქართველოში, რომ კრიზისი გადალახულია. მაგალითად, ვციტირებ გიორგი ვაშაძეს, რომელიც ოპოზიციაშია და ამის გამო, მისი ეს ნათქვამი დამაჯერებლად გამოიყურება... ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის ამ კონტექსტის კარგად ახსნა პარტნიორებისთვის და ძალიან მოხარული ვარ, რომ საქართველოს სუვერენიტეტისა და დემოკრატიის მოკავშირეებმა კარგად გაიგეს“.

გიორგი ვაშაძე, გიგა ბოკერიამ „ტვ პირველის“ ეთერშიც მწვავედ გააკრიტიკა:

„ოცნებამ“ ჩათვალა, რომ თავისი გაიტანა და ეს არის სახიფათო ჩვენი დემოკრატიისთვის, სადაც წარმატებას ადგილი არ აქვს, იქ იმის თქმა, რომ ისტორიული ფაქტი და გარღვევა მოხდა, რასაც ბატონი ვაშაძე, ელისაშვილი და სხვები ამბობენ, რომ კრიზისი განხმუტულია, როცა ეს ასე არ არის, იწვევს უნდობლობას, იმედგაცრუებას მოქალაქეებში, ყურადღებას აკლებს ჩვენს ქვეყანას გარეთ და საბოლოო ჯამში, ჩვენს ქვეყანას ურტყამს. ავტორიტარული რეჟიმები ყვავის ასეთ ვითარებაში, სადაც საერთაშორისო ყურადღება ნაკლებია, ჩათვლილია, რომ იქ კრიზისი აღარ არის. ერთი შეხვედრა მქონდა ძალიან კარგ ევროპელ ადამიანთან, რომლის გვარს არ დავასახელებ, მან საჯაროდ თქვა ცოტა ხნის წინ, კარგია, რომ კრიზისი განიმუხტა საქართველოშიო. რომ ვკითხეთ, რას ეყრდნობა, როცა სასამართლოზე ის მინიმალისტურიც კი „ფეხებზე დაიკიდეს“, რაც შეთანხმებაში ეწერა; როცა პოლიტიკურ საქმეებს აგრძელებენ; როცა საარჩევნო კოდექსში ისეთი რაღაცები მიიღეს, რაც არ იყო შეთანხმებაში, გვიპასუხა – ამას მთავრობაც გვეუბნება და ოპოზიციაცო. რომ ვიკითხეთ, ვისი ციტატა იყო – ბატონი ვაშაძის, რომელმაც თქვა, რომ კრიზისი განმუხტულია და ყველაფერი, საერთო ჯამში, არის უკეთ. მე ასე არ მგონია და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მოქალაქეების უდიდეს ნაწილსაც ასე არ ჰგონია და ჩვენმა მეგობრებმა ეს უნდა იცოდნენ. რა თქმა უნდა, დიდი გამოწვევა გვაქვს, უამრავი რამ ხდება მსოფლიოში და ამ ნიაღვარში ყურადღების მიპყრობა არის სერიოზული, მით უმეტეს, როცა მთავრობა არ გყავს ისეთი, რომელიც მუშაობს შენი ქვეყნის მიმართ ყურადღებაზე. ამ რთულ ვითარებაში, ხელი კი არ უნდა შევუწყოთ იმას, რომ ჩათვალონ, საქართველოში მეტ-ნაკლებად ყველაფერი კარგად მიდის, არც გვაწუხებენ ინტეგრაციის მოთხოვნით ნატო-ში, ევროკავშირშიო...

ჩვენ შევხვდით ყველა საკვანძო წარმომადგენელს ევროპის სახალხო პარტიისა, ვინც ჩვენს რეგიონს უყურებს. ჩვენი ამოცანაა, არა იმის თქმა, რომ ვაიმე, რა ცუდად მოიქცა ვაშაძე და ელისაშვილი, ეს ვის რაში აინტერესებს?! ჩვენი ამოცანაა, რომ საკუთარი თავის მოტყუებით არ მოვადუნოთ ყურადღება იმაზე, რაც რეალური პრობლემაა“.

ჟურნალისტის კითხვაზე – იმაში, რომ ყურადღება იყოს მოდუნებული, ვაშაძემ თავის როლი შეიტანა იმის მტკიცებით, რომ კრიზისი მოგვარებულია? – გიგა ბოკერია ასე პასუხობს:

„ყველამ, ვინც ეს ტყუილი უთხრა ჩვენს მოქალაქეებს და პარტნიორებს, რომ გარღვევა მოხდა. ვნახე მისი არაერთი ციტატა და საერთოდ, ნატო-ს წევრი ვხდებით, თითქოს, ხვალ და ვიღაც ამის წინააღმდეგია. მესმის, რომ პოლიტიკოსები ხშირად განსჯიან თავის კონკურენტებს და სხვა პოლიტიკოსებს თავისი სტანდარტით, მაგრამ მოდი, შევხედოთ ვითარებას – დღევანდელი „ოცნება“ სხვანაირად ექცევა ჩვენს მოქალაქეებს და პარტიებს?!...“

ამ საკითხზე „ვერსია“ „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერ **გიორგი ვაშაძეს** ესაუბრა:

– ძალიან ვწუხვარ, რომ გიგა ამ დონეზე დაეცა, ამ დონის ტყუილებს კადრულობს. თუ ვინმე იბრძვის იმისთვის, რომ შარლ მიშელის დოკუმენტი აღსრულდეს, ვართ ჩვენ – „სტრატეგია აღმაშენებელი“ და ყველა ჩემს კონტაქტს ვიყენებ ისევე, როგორც ვაიძულეთ „ქართული ოცნება“ პოლიტპატიმრების გათავისუფლებაზე, საარჩევნო რეფორმის გატარებაზე, თამარ ჟვანიას გადადგომაზე, ასევე, ვაიძულოთ მართლმსაჯულების რეფორმის გატარებაც და კლანი დავამთავროთ ამ ქვეყანაში! ვაიძულოთ საკონსტიტუციო ცვლილებები, რეფერენდუმში დამარცხების შემდეგ, რიგგარეშე არჩევნების ჩატარებაც.

– ბატონო გიორგი, ბოკერია აცხადებს, რომ ხელისუფლება არ მოქმედებს მიშელის დოკუმენტის ადეკვატურად და არ შეიძლება, ყველაფერი ეს მიღწევად ჩაითვალოს...

– ძალიან ვწუხვარ, რომ გიგა აღმოჩნდა არასწორ მხარეს. ეს თვითონაც იცის, მისმა თანაპარტიელებმაც, ჩვენმა მოქალაქეებმაც და დასავლეთმაც. ფაქტობრივად, მოიჭრა გზა კონტაქტის იმ დიდ რესურსზე, რაც ჰქონდა დასავლეთთან და როგორც ჩანს, ნერვიულობს ამასთან დაკავშირებით.

– როცა ამბობთ, რომ ბოკერია არასწორ მხარეს აღმოჩნდა, რას გულისხმობთ? რა მოტივაცია უნდა ჰქონდეს, რომ თუნდაც თქვენის მისამართით, ასეთი განცხადებები გააკეთოს?

– არ ვიცი. ყველა ადამიანი უშვებს პოლიტიკაში შეცდომებს, ზოგიც – დიდ შეცდომებს. ბოკერიას და მის თანაგუნდელებს, ჩემი აზრით, სწორედ ეს დიდი შეცდომა მოუვიდათ.

ვინ აფინანსებს გახარიას, ხაზარაძესა და ბოკერიას

რამდენი ათასი ლარი შესწირეს ოპოზიციურ პარტიებს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის დეპარტამენტმა, გიორგი გახარიას ახლადშექმნილი პარტიის შემოწირულობა გაასაჯაროვა. ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით გაირკვა, რომ ექსპრემიერის პარტიამ „საქართველოსთვის“, 2020 წლის ივნისში, მთლიანობაში 139 716 ლარის შემოწირულობა მიიღო. „ვერსია“ დაინტერესდა, რა ოდენობის დაფინანსება მიიღეს სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა შემოწირულობების სახით და ვინ არიან მათი შემომწირველები. ვიდრე დეტალურ ინფორმაციას გაგაცნობთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არ აქვს პარტია „გირჩის“ და გიორგი ვაშაძის „სტრატეგია აღმაშენებლის“ ფინანსური მონაცემები. „ვერსიამ“ გაარკვია, რომ „გირჩი“ აუდიტის სამსახურს შეგნებულად არ უგზავნის ინფორმაციას, რაც რბილად რომ ვთქვათ, კანონდარღვევაა. რაც შეეხება გიორგი ვაშაძეს, როგორც ჩანს, 2021 წლის განმავლობაში ანუ იანვრიდან დღემდე, მის პარტიას შემოწირულობა არ მიუღია.

გახარიას „საქართველოსთვის“

მართალია, ექსპრემიერმა, გიორგი გახარიამ საკუთარი პარტია „საქართველოსთვის“ 29 მაისს დაარეგისტრირა, მაგრამ შემომწირველები უკვე ჰყავს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის დეპარტამენტმა გახარიას პარტიის ივნისის შემოწირულობები გამოაქვეყნა. გაირკვა, რომ წინა თვეში, ექსპრემიერის პარტიას 139 000 ლარზე მეტი შესწირეს. ყველაზე მსხვილი შემომწირველები კი მისივე თანაპარტიელები – ბერდია სიჭინავა, ალექსანდრე მოწერელია და გიორგი ხოჯევანიშვილი არიან.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, გიორგი გახარიას პარტიის შემოწირულობებთან დაკავშირებით, „ვერსიას“ სრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდა. უწყებამ ორი თვის – მაისისა და ივნისის შემოწირულობები მოგვაწოდა. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მაისსა და ივნისში, ექსპრემიერის პარტიამ 139 716 ლარის შემოწირულობა მიიღო:

დავით ფარცვანია – 2 125 ლარი; ნიკოლოზ ბარამაშვილი – 19 942 ლარი; ერასტი ელიჯარაშვილი – 2 100 ლარი; ნიკოლოზ ბარამაშვილი – 3 000 ლარი; ნიკოლოზ ბარამაშვილი – 600 ლარი; ანა ბუჩუკური – 5 000 ლარი; გიორგი გოგუაძე – 5 000 ლარი; გიორგი ჭანტურია – 368 ლარი; გიორგი ჭანტურია – 1 105 ლარი; ნიკოლოზ ბარამაშვილი – 240 ლარი; ნიკოლოზ ბარამაშვილი – 413 ლარი; გიორგი ჭანტურია – 2 604 ლარი; ალექსანდრე მოწერელია – 25 000 ლარი; სოფიო მდინარაძე – 1 248 ლარი; გიორგი ხოჯევანიშვილი – 25 000 ლარი; გიორგი ჭანტურია – 1 989 ლარი; აკაკი გვიანიძე – 600 ლარი; აკაკი გვიანიძე – 1 200 ლარი; გიორგი ჭანტურია – 2 479 ლარი; ედიშერ გორგილაძე – 4 000 ლარი; ტატო ედიშერაშვილი – 1 2000 ლარი; ბერდია სიჭინავა – 34 503 ლარი.

ახლა ვნახოთ, ვინ არიან გახარიას პარტიის მსხვილი შემომწირველები. ბერდია სიჭინავა მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის ყოფილი მოადგილეა. მან თანამდებობა გიორგი გახარიას გადადგომის შემდეგ დატოვა, მოგვიანებით კი ექსპრემიერის პარტიაშიც გაწევრიანდა. 2021 წლის მაისში შევსებული დეკლარაციის მიხედვით, „ვერსიამ“ გაარკვია, რომ პარტია „საქართველოსთვის“ ყველაზე მსხვილი შემომწირველის, ბერდია სიჭინავას ერთადერთი შემოსავალი მხოლოდ ხელფასი იყო. 2020 წლის განმავლობაში, მთავრობის ადმინისტრაციაში მუშაობისას, ანაზღაურების სახით, ბერდია სიჭინავამ 68 907 ლარი მიიღო.

რაც შეეხება ალექსანდრე მოწერელიას, ის ახლა პარლამენტის წევრია. 2018-2020 წლებში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, მოწერელია სახელმწიფო რწმუნებული იყო. „ვერსიის“ მკითხველებმა კარგად იციან, რომ გუბერნატორად დანიშვნამდე, ალექსანდრე მოწერელია „საქართველოს თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციის“ გამგეობის თავმჯდომარე იყო. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მონაცემებზე დაყრდნობით, მოწერელია წილებს ფლობდა შემდეგ კომპანიებში: „ქაპ ჯორჯია“, „ფიმა ჯორჯია“ და „აერკომპანი“. 2020 წლის დეკლარაციის თანახმად, ალექსანდრე მოწერელია ფლობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ათზე მეტ მიწის ნაკვეთს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილისწყაროში, მიწის ნაკვეთებს – ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში, ბინას – ბრატისლავაში და მსუბუქ ავტომანქანას.

გახარიას პარტიის კიდევ ერთი შემომწირველი, გიორგი ხოჯევანიშვილი 2018-2020 წლებში, შიდა ქართლის გუბერნატორი იყო, 2020 წლიდან კი საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის წევრია. 2011-2013 წლებში, სასჯელაღსრულების სამინისტროში, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა, შემდეგ კი კომპანია „მაგთიკომში“ საქმიანობდა.

ნიკოლოზ ბარამაშვილი შპს „ვესთის“ დირექტორია. კომპანია სააღრიცხვო, საბუღალტრო და სააუდიტო საქმიანობებს, მთლიანობაში, საგადასახადო კონსულტირებას ეწევა.

ოთხი ყველაზე მსხვილი შემომწირველის გარდა, პარტია „საქართველოსთვის“ თანხები შესწირეს ბიზნესმენებმა – ტატო ედიშერაშვილმა, ედიშერ გორგილაძემ და პარტიის წევრებმა – დეპუტატმა ანა ბუჩუკურმა, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტმა გიორგი გოგუაძემ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ ყოფილმა დირექტორმა, დავით ფარცვანიამ, გორის მერის ყოფილმა მოადგილე ერასტი ელიჯარაშვილმა და პარტიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა სოფიო მდინარაძემ.

ხაზარაძის „ლელო საქართველოსთვის“

„ლელო საქართველოსთვის“ შემოწირულობების შესახებ, აუდიტის სამსახურმა „ვერსიას“ იანვარ-ივნისის მონაცემები მიაწოდა. ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მიმდინარე წლის ექვს თვეში, მამუკა ხაზარაძის პარტიამ 96 250 ლარის შემოწირულობა მიიღო. უფრო კონკრეტულად, „ლელოს“ ექვსთვიანი შემოწირულობა ასეთია:

ნიკოლოზ შურღაია – 5 000 ლარი; თორნიკე ჯინჭველაშვილი – 3 000 ლარი; თორნიკე ჯინჭველაშვილი – 5 000 ლარი; ნიკოლოზ შურღაია – 5 000 ლარი; შპს „მეგაკო“ – 50 000 ლარი; ნიკოლოზ შურღაია – 5 000 ლარი; კობა ჯლანტიაშვილი – 100 ლარი; ნიკა ხაზარაძე – 400 ლარი; კობა ჯლანტიაშვილი – 50 ლარი; ნიკა ხაზარაძე – 1 200 ლარი; ნიკა ხაზარაძე – 1 500 ლარი; ნიკა ხაზარაძე – 20 000 ლარი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მონაცემებზე დაყრდნობით, „ვერსიამ“ გაარკვია, რომ მამუკა ხაზარაძის პარტიის მსხვილი შემომწირველია შპს „მეგაკო“, რომლის პარტნიორები მისივე ოჯახის წევრები – ირინე და სოფიო ხაზარაძეები არიან. ისინი ამ კომპანიაში 15-15%-იან წილებს ფლობენ. „მეგაკოს“ დირექტორი და 23.33%-იანი წილის მფლობელია კახა გოგავა. დანარჩენ პარტნიორებს შორის, წილები ასე ნაწილდება: მერაბ გაგუა – 11.67%, კობა თაყაიშვილი – 11.67%, გრიგოლ ლომთაძე – 11.66%, ინგა სვანიძე – 11.67%.

რაც შეეხება ნიკა ხაზარაძეს, ის მამუკა ხაზარაძის შვილია და 2020 წელს, „ლელოს“ 60 000 ლარი შესწირა. ნიკა ხაზარაძე ორი კომპანიის – შპს „ჯორჯიან სოფტვეარ ენთერფრაისისა“ და შპს „ტექ ინვესტმენტს გრუპის“ დირექტორია, ხოლო შპს „ელვისის“, შპს „ვი არ ჰაუს – გლდანი სიტი მოლისა“ და შპს „ტაფი.ჯის“ პარტნიორი გახლავთ.

2020-2021 წლებში, ნიკოლოზ შურღაიამ „ლელოს“ 25 000 ლარი შესწირა. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ინფორმაციით, ნიკოლოზ შურღაია შპს „ნშ ფინანსური გადაწყვეტილებების“ პარტნიორია.

რაც შეეხება „ლელოს“ კიდევ ერთ შემომწირველ თორნიკე ჯინჭველეიშვილს, 2020-21 წლებში, მამუკა ხაზარაძის პარტიას მან 48 000 ლარი შესწირა.

ბოკერიას „ევროპული საქართველო“

„ევროპული საქართველოს“ შემოწირულობების შესახებ, „ვერსიას“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2021 წლის ივნისის მონაცემები მიაწოდა. ირკვევა, რომ გიგა ბოკერიას პარტიამ წინა თვეში, მთლიანობაში, 15 279 ლარის შემოწირულობა მიიღო. ივნისში „ევროპულ საქართველოს სულ ოთხი შემომწირველი ჰყავდა:

ირმა სტეფნაძე-იაშვილი – 2 613 ლარი; შორენა გარდაფხაძე – 2 613 ლარი; მარიამ მჭედლიძე – 5 553 ლარი; ოთარ კახიძე – 4 500 ლარი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ინფორმაციაზე დაყრდნობით, „ვერსიამ“ გაარკვია, რომ 2013-დან 2021 წლის ჩათვლით, შორენა გარდაფხაძემ „ევროპულ საქართველოს“, მათ შორის, „ნაციონალურ მოძრაობასაც“, მთლიანობაში 61 198 ლარი შესწირა. შორენა გარდაფხაძე შპს „მაროკო ჯორჯიას“ დირექტორია.

„ევროპული საქართველოს“ კიდევ ერთმა შემომწირველმა, მარიამ მჭედლიძემ 2020-2021 წლებში, ამ პარტიას ჯამში 13 700 ლარი შესწირა.

რაც შეეხება ირმა სტეფნაძეს, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ის შპს „საქართველოს რკინიგზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ინფორმაციით, 2012-დან 2021 წლის ჩათვლით, ირმა სტეფნაძემ „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ევროპულ საქართველოს“, მთლიანობაში 104 341 ლარი შესწირა.

როგორ ამოვიცნოთ პედოფილი

სალომე ნოზაძე

სად გადის ზღვარი ბავშვის მოფერებასა და სექსუალურ ძალადობას შორის – ფსიქოლოგის განმარტებები

სამეგრელოში, მამა-შვილის მიერ არასრულწლოვანის გაუპატიურებამ მთელი საქართველო შეძრა. ამ ფონზე საინტერესოა, როგორ უნდა ამოვიცნოთ პედოფილი და როგორ დავიცვათ ბავშვი ძალადობისგან? – „ვერსია“ ფსიქოლოგ ნანა გოგიჩაშვილს ესაუბრა.

– ქალბატონო ნანა, რა არის სექსუალური ძალადობა, რას გულისხმობს იგივე ქმედება ბავშვებთან მიმართებაში და სად გადის ზღვარი მოფერებასა და სექსუალურ ძალადობას შორის?

– სექსუალური ძალადობა არის სქესობრივი კავშირის დამყარება ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით, აგრეთვე, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება, რომელიც ვლინდება მაშინ, როცა ადამიანი სხვისი ზემოქმედებით აკეთებს იმას, რასაც იგი საკუთარი ნებით არ გააკეთებდა და ეს ქცევა ხორციელდება მოძალადის სექსუალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რაც შეეხება სექსუალურ ძალადობას ბავშვებთან მიმართებაში, აღნიშნული ქმედება, თავისი შინაარსით, მოიაზრებს ბავშვებთან ურთიერთობას საკუთარი სექსუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და რომელშიც ბავშვი მოტყუებით ან იძულებით არის ჩართული, რაც გულისხმობს სექსუალური შინაარსით საუბარს, სექსუალურ გარყვნას, ეროტიულ ალერსს და ინტიმურ ადგილებზე შეხებას, ბავშვისთვის პორნოგრაფიული სურათების გადაღებას, სექსუალური შინაარსის ფილმების ერთობლივ ყურებას, პორნოგრაფიული ჟურნალების დათვალიერებას ან პორნოგრაფიული ხასიათის სურათების გადაღებას (მნიშვნელობა არა აქვს, ეს ბავშვის ნებართვით ხდება თუ არა), გაუპატიურებას ან გაუპატიურების მცდელობას, სასქესო ორგანოების დემონსტრირებას, ღია საუბრებს სექსზე ბავშვის შოკირების ან მისი ცნობისმოყვარეობის გაღვიძების მიზნით, სისხლის აღრევას (ინცესტი), სხეულით ვაჭრობის იძულებას და სხვა.

მოფერებასა და სექსუალურ ძალადობას შორის ზღვარი, ბუნებრივია, არსებობს, მაგრამ კითხვა, ალბათ, მდგომარეობს იმაში, როგორ განასხვავოს ბავშვმა ეს ორი ქცევა ერთმანეთისაგან? პასუხი ცალსახაა – ბავშვი ვერ განასხვავებს ამ ქცევებს ერთმანეთისაგან, თუ მას არ ექნება მინიმალური ინფორმაცია ამ საკითხის შესახებ. აქაც ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა უნდა ვასწავლოთ, რა ასაკში, ვინ უნდა ესაუბროს, რა რაოდენობისა და ხარისხის ინფორმაცია უნდა ჰქონდეს ბავშვს, რომ მან მოახერხოს თავდაცვა მოძალადისაგან? მით უმეტეს, რომ მოძალადეები საკმაოდ გონივრულად და გააზრებულად მოქმედებენ და ისეთ გავლენას ახდენენ ბავშვებზე, რომ ისინი თავადვე მალავენ ამ ინფორმაციას.

ბავშვებს უნდა ესაუბროს სპეციალისტი ან მათი ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც არადამაშინებელი და მათთვის გასაგები ტერმინოლოგიით აუხსნის ბავშვებს, როგორი ქცევა არ უნდა განახორციელოს მათთან სხვა ადამიანმა და თუ ეს მოხდა, ვის უნდა მიმართონ ამ შემთხვევაში. ბავშვებს უნდა ვესაუბროთ ჰიგიენური ნორმების დაცვაზე, მათი სხეულის აგებულებაზე, გარკვეულ ფიზიოლოგიურ მახასიათებლებზე, აგრეთვე იმაზე, რომ არასოდეს უცხო ადამიანს (ექიმის ან სპეციალისტის გარდა), არ აქვს უფლება მას სხეულზე შეეხოს და მით უმეტეს იმ ადგილებზე, რომლებიც დაფარული გვაქვს სამოსით.

მოფერების თვალსაზრისითაც, შესაძლებელია ბავშვს ეფერებოდეს მხოლოდ ოჯახის წევრი, ახლობელი ან ნათესავი, თუმცა იქაც არსებობს გარკვეული ნორმები და ამ ნორმების დარღვევის დროს, ეს აუცილებლად უნდა უთხრას დედას ან მისთვის სანდო პირს. შესაბამისად, ბავშვებს ნამდვილად სჭირდებათ საჭირო და აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, თუ როგორ ამოიცნონ „სხვანაირი“ მოფერება, რატომ არის ასეთი შეხება სახიფათო და რომ მათ არასოდეს არ უნდა შეეშინდეთ ისაუბრონ საკუთარ შიშებზე და იმ ე.წ. „საიდუმლოზე“, რომლის დაფარვასაც მოძალადე ავალდებულებს.

– როგორ უნდა ამოიცნოს მშობელმა, რომ მისი შვილი ძალადობის მსხვერპლია, რა ქცევები ახასიათებთ მსხვერპლ ბავშვებს?

– როდესაც ბავშვი ხდება ძალადობის მსხვერპლი, ეს სხვადასხვანაირი გამოვლინებით აუცილებლად იჩენს თავს, როგორც ბავშვის ქცევაში, ისე მის ხასიათობრივ ცვლილებებსა და ცხოვრების წესში. შესაძლებელია, ის გახდეს აგრესიული, კონფლიქტური ან პირიქით ჩაიკეტოს საკუთარ თავში და ინფორმაციის გაჟონვის თავიდან აცილების მიზნით, საერთოდ აღკვეთოს კომუნიკაცია, როგორც ოჯახის წევრებთან, ისე მეგობრებთან. შესაძლებელია იმდენად ეცადოს საკუთარი ემოციების დაფარვას, რომ ეს ყოველივე სხვადასხვა ფსიქოსომატური დაავადებითაც გამოვლინდეს. ვიცით, აგრეთვე, რომ მსგავს შემთხვევებში, შიშის, დასჯის ან მათივე დადანაშაულების თავიდან აცილების მიზნით, ჩვენდა სამწუხაროდ, ისინი მიმართავენ სუიციდს.

– როგორ უნდა დავიცვათ ბავშვები პედოფილიისგან?

– რა თქმა უნდა, მათი ზოგადი გონიერებისა და ცნობიერების ამაღლებით აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში, თუმცა აუცილებლად ვითვალისწინებთ ასაკს, ინფორმაციის ხარისხს, რაოდენობას და რა თქმა უნდა, იმ ადამიანის პროფესიონალიზმსა და აკადემიურობას, ვინც აპირებს ბავშვებთან ამ თემებზე საუბარს.

აქვე, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ იმასაც, რომ ბავშვები არ უნდა იყვნენ მშობლებისა და უფროსების მეთვალყურეობის გარეშე და ხშირ შემთხვევაში, მშობლებმა უნდა იცოდნენ, სად, რა მიზნით და რა ხნით არიან მათი შვილები, თუკი ისინი არ იმყოფებიან მათი თვალთახედვის არეში.

– რა უნდა ვასწავლოთ ბავშვს ამ თემაზე და რომელი ასაკიდან ?

– სასურველია, აღნიშნულ საკითხებზე საუბარი დაიწყოს, დაახლოებით, 4–5 წლის ასაკიდან, როდესაც ხდება ჰიგიენური ნორმების მოწესრიგება დედის მიერ, ვინაიდან ამ დროს, საკმაოდ უმტკივნეულოდ შეიძლება, ასე ვთქვათ, „ჩააგდო“ პირველი მარცვალი, რომ ეს ისეთი ადგილებია, სადაც უცხო ადამიანი არასოდეს არ უნდა შეგეხოს და ეს ადგილები აუცილებლად უნდა იყოს დაფარული, როგორც სამოსით, ისე პირადი თეთრეულით. თანაც, არც შენ არ უნდა შეეხო სხვა ადამიანს, რომც გთხოვოს იმ ადამიანმა და ა.შ.

– არის თუ არა საშიშროება, რომ ძალადობის მსხვერპლი ბავშვი სხვაზე იძალადებს და როგორ უნდა დავიცვათ ამისგან ბავშვი?

– საშიშროება და რისკები ნამდვილად არსებობს, ვინაიდან ამ დროს, ბავშვი მარტო რჩება საკუთარ მძიმე განცდებთან და შიშებთან და შესაბამისად, არ ვიცით, რა დასკვნებს გამოიტანს აღნიშნული ქცევებიდან. ამიტომ, აუცილებელია, რომ ძალადობაგანცდილ ბავშვებთან იმუშაონ სპეციალისტებმა, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

სამართალი

№23 7 ივლისი 2021 წ

შეკვეთილი მკვლელობა იმერეთში

მოღალატე ცოლი და 5 წლის გოგონა, რომელსაც მამა თვალწინ მოუკლეს

ბათო ჯაფარიძე

ერთხელ, ერთ ბრძენს ჰკითხეს, ბავშვები გავანებივროთ თუ არაო, ბრძენმა უპასუხა – „აუცილებლად გაანებივრეთ. კაცმა არ იცის, რა განსაცდელს უმზადებს მათ ცხოვრება და მძიმე წუთებში, სწორედ ბავშვობის ბედნიერი მომენტები უნდა აძლევდეთ ძალას“. ყველამ საკუთარ თავს ჰკითხოს, რამდენი რამ ახსოვს ბავშვობიდან და გონებაში ცუდიც და კარგიც ნათლად რამდენჯერ წამოუტივტივდება ხოლმე. დღეს, ერთი შეხედვით, ბავშვთა უფლებები განსაკუთრებულად დაცულია, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. ასე იყო ადრეც: ოფიციალურად, ბავშვებისთვის სახელმწიფო მანქანა ზრუნავდა, მაგრამ გაზრდილი ბავშვი ხვდებოდა, რომ რაღაც აკლდა და ეს რაღაც თავისუფლება იყო.

სამაგიეროდ, საბჭოთა კავშირის უშიშროებას ბავშვებთან მომუშავე ფსიქოლოგების ინსტიტუტი ჰქონდა ძალიან დახვეწილი. ძირითადად, ლამაზი, სანდომიანი დეიდები, რომლებიც ბავშვებისგან ინფორმაციის მისაღებად, მათთან დღეებისა და კვირების განმავლობაში ცხოვრობდნენ, ნდობაში შედიოდნენ და ფრთხილად ეხებოდნენ თემას, რომლის გაგებაც სურდათ. ასე იყო მაშინაც, 1982 წელს, როცა ზემო იმერეთის ერთ-ერთ რაიონში, კაცი საკუთარი, 5 წლის გოგონას თვალწინ მოკლეს. პრინციპში, კი არ მოკლეს, დაკლეს, რადგან დანით მიყენებული რამდენიმე ჭრილობის შემდეგ, ბასრი იარაღი ყელშიც გამოუსვეს. მკვლელმა კარი გაიხურა და შინ 5 წლის გოგონა გარდაცვლილ მამასთან ერთად დატოვა. როცა დედა სახლში დაბრუნდა, საზარელი სურათი გადაეშალა – ბავშვი გაფართოებული თვალებით მამის უსულო სხეულთან იჯდა და მხოლოდ ერთ სიტყვას ჩურჩულებდა – „მიშველეთ!“

საქმის გამოსაძიებლად თბილისიდან საუკეთესო მაძებრები გაუშვეს, თუმცა კრიმინალისტებმა საიმედო ვერაფერი თქვეს. მკვლელობის იარაღი, სავარაუდოდ, დანა იყო, თუმცა არც დანა გახლდათ ადგილზე, არც ანაბეჭდები და ზოგადად, ხელჩასაჭიდიც არაფერი იყო. ცხადი გახლდათ, პროფესიონალი მოქმედებდა, რომელმაც ზუსტად იცოდა, რა და როგორ უნდა ექნა.

„ჩვენი მთავარი იმედი სწორედ ის ბავშვი იყო, რომელმაც, სავარაუდოდ, მკვლელიც დაინახა, მკვლელობაც შეესწრო, მაგრამ რად გინდა? ექიმებმა გასაგებად გვითხრეს, ბავშვი შოკიდან თუ გამოვა, შეიძლება, საერთოდ ვერ აღიდგინოს, რა ნახა, გონებამ ცუდ მოგონებას უარყოფითი რეაქცია მისცესო. გოგონა საავადმყოფოში გადაიყვანეს და თბილისიდან ბავშვთა სპეციალური ფსიქოლოგიც ჩამოვიდა, ქალი, რომელიც უშიშროების მაიორი გახლდათ“, – ისტორიას თბილისიდან წარგზავნილი ჯგუფის ხელმძღვანელი, ბატონი თენგიზი გვიყვება.

ქალმა ბავშვს დახედა თუ არა, თავი გადააქნია და აღნიშნა, მინიმუმ, ორი კვირა მასთან საუბარს აზრი არ აქვს, კონტაქტზე ვერ გამოვა, ვერც ვერაფერს იტყვისო. ყოველი შემთხვევისთვის, ბავშვის პალატასთან ორი სამართალდამცავი დააყენეს, რადგან გაჩნდა ეჭვი, რომ მკვლელს, შეიძლება, მთავარი მოწმის მოკვლაც გადაეწყვიტა, რადგან მას არ უნდა სცოდნოდა, რომ საქმეში სამინისტროს განსაკუთრებულ საქმეთა საგამოძიები ჯგუფი ჩაერთვებოდა. არაერთ პრობლემას ისიც დაემატა, რომ დედამ ამდენ ნერვიულობას ვერ გაუძლო და ბავშვის პალატაში, მაშინ, როცა პატარას ეძინა, ვენები გადაიჭრა. საბედნიეროდ, დაცემის ხმა კართან მდგარმა სამართალდამცავებმა გაიგეს, ექიმებს უხმეს და მისი გადარჩენა მოახერხეს. ფსიქოლოგი ამჯერად დედასაც დასჭირდა და ისიც თბილისიდან ჩამოვიდა, ისიც უშიშროების თანამრომელი, თუმცა...

„ქალთან გასაუბრების შემდეგ, ფსიქოლოგი ჩემთან მოვიდა და ჩაფიქრებულმა მითხრა, ამ ქალს ნერვიულობის არაფერი ეტყობა, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ზუსტად იცოდა, რასაც აკეთებდა და ეს აფექტი არ იყო ანუ ვენები შეგნებულად გადაიჭრაო. ამან ჩამაფიქრა და უკვე ჩემს კრიმინალისტებს მივეცი დავალება“, -გვიყვება ბატონი თენგიზი.

ჭრილობის მორიგ გადახვევას შს სამინისტროს კრიმინალისტიც დაესწრო, იარა დაათვალიერა და შემდეგ გამომძიებელს უთხრა, რომ ვენებს ასე არავინ იჭრის, უბრალოდ, კანი იყო გასერილი, თუმცა 4 ადგილზე, რამაც ძლიერი სისხლდენა გამოიწვია და ეფექტი, რომ თითქოს ქალის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, ამიტომ შეიქმნა. პირველი ეჭვმიტანილიც ქალი გახდა და სამართალდამცავებმა მისი თვალთვალი დაიწყეს, მაგრამ ბევრი ვერაფერი გაიგეს. ქალი ან სახლში იყო, ან საავადმყოფოში, შვილის გვერდით. გოგონა ექიმებმა ათი დღის შემდეგ გაწერეს და ბატონმა თენგიზმა დაცვის მოხსნაც ბრძანა. ჯერ ერთი, ბავშვი კვლავ უიმედო იყო და მეორეც, ძნელად სავარაუდო გახლდათ, მკვლელს დღისით რაიმე გაებედა, ღამით კი ოპერჯგუფი სახლთან ახლოს, მანქანაში მორიგეობდა. ეს უდიდესი შეცდომა იყო – მეორე დღესვე, დღისით, მზისით, სახლიდან გამოსული დედა-შვილის ფეხებთან მანქანა გაჩერდა, იქიდან მძღოლის გვერდზე მჯდომი ნიღბიანი კაცი გადმოხტა, ქალს ყბაში ისეთი დაარტყა, ადგილზე გათიშა, ბავშვი უკანა სავარძელზე შეაგდო და გაიტაცა.

„ეს არ იყო ჩავარდნა, ეს იყო კატასტროფა. ვფიქრობდით, რომ ოჯახის განადგურება სურდა ვიღაცას, მაგრამ რატომ, რისთვის? მოკლულს ყველა უწესიერეს კაცად ახასიათებდა, მამამისი ყოფილი სამხედრო გახლდათ, ომის ვეტერანი, ბერლინამდე ფეხით იარა კაცმა, სწორედ მისი გაზრდილი გახლდათ შვილი და შესაბამისად, ნამდვილ კაცად, ვაჟკაცად გაზარდა. ოჯახს არც ეკონომიურად უჭირდა, ორივე მუშაობდა და იმ დროისთვის საკმაოდ შეძლებულადაც ითვლებოდნენ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავები გარდაცვლილის მშობლების სანახავად წავიდნენ. მანამდე მილიციასთან საუბარზე უარი თქვეს, ძალიან დათრგუნულები ვართო და ამიტომ, მათი ნახვა გამომძიებლებმა მხოლოდ გასვენებაში მოახერხეს, მაგრამ ახლოს არ მისულან. კაცი სამხედრო ფორმაში იყო გამოწყობილი და ყველას მკაცრად უყურებდა. გამომძიებლებს წინ მორიგი იმედგაცრუება ელოდათ – მოკლულის მშობლები შინ არ იყვნენ და მეზობლების თქმით, უკვე სამი დღის განმავლობაში, მათ ვერ ხედავდნენ. ბინა შესაბამისი ორდერის საფუძველზე გახსნეს, თუმცა საინტერესო ვერაფერი იპოვეს, სახლი დალაგებული იყო და ძალადობის კვალი არ ჩანდა.

კიდევ ერთი კვირა გავიდა და ბავშვის ბაბუა, შვილიშვილთან ერთად, მილიციაში გამოცხადდა.

„შვილიშვილს მე და ჩემი მეუღლე ვზრდიდით. მისი ყველაფერი ვიცი, ხასიათის ყველა შტრიხი, რა უჭირს, რა უხარია, ამიტომ მე გავიტაცე ბავშვი. ჩემი შვილი ცოლთან დაშორებას აპირებდა, ბავშვმა უთხრა ერთხელ, ვიღაც ძია მოვიდა, ბევრი კანფეტი მომიტანა, მომეფერა, მერე კი დედიკოს აკოცა და მოეფერაო. ღალატში მხილებულ ცოლთან დარჩენა ჩემს შვილს აღარ სურდა, გაყრის პროცედურები დაიწყო და... მოკლეს. აგერ, ბავშვი, ჯანმრთელი, საღ-სალამათი, საუბრისთვის მზად არის. ფსიქოლოგიურად დედამისი ბოლომდე მოსპობდა, ახლა კი საუბრობს და თუ რამეს გეტყვით, კარგი იქნება, მისი მონაყოლით მე ვერაფერს მივხვდი...“

საქმეში კვლავ ბავშვთა ფსიქოლოგი ჩაერთო, მაგრამ ამაოდ. გოგონა მკვლელის აღწერილობას კი ამბობდა, მაგრამ ბავშვებს ფანტაზიის დიდი უნარი აქვთ და ამიტომ, შეუძლებელი იყო იმის მიხვედრა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მკვლელი. პარალელურად, მეორე ოთახში გარდაცვლილის ცოლს ჰკითხავდნენ. ქალი გამოტყდა, რომ ქმართან გაშორებას აპირებდა, თუმცა არ მოუკლავს. მან საყვარელის სახელიც თქვა და კაცი მილიციაში მიაბრძანეს. საჭირო იყო, ეს კაცი გოგონას ენახა და ფრთხილად შეეპარეს კიდეც, ხომ შეხედავო. ბავშვმა თავი დააქნია, მაგრამ როცა დედის საყვარელს დაკვირდა, მხოლოდ ის თქვა, ეს ძია კანფეტებს მაძლევდა ხოლმე, როცა მამიკო სახლში არ იყოო ანუ საყვარელი მკვლელი არ იყო და საყვარლობის გამო, ნამდვილად ვერ დასჯიდნენ.

ბავშვი კვლავ ბაბუამ წაიყვანა, როცა მილიციის ეზოში გავიდნენ, მოულოდნელად, გოგონამ ერთ-ერთი თანამშრომლისკენ გაიშვირა ხელი და ჩუმად თქვა – „ამან ატკინა მამიკოს!“ სანამ ბაბუა და დანარჩენი სამართალდამცავები პირდაღებული იყურებოდნენ, მილიციის თანამშრომელი მანქანაში ჩახტა და ადგილიდან გაიქცა.

„მისი ძებნა დიდხანს არ გაგრძელებულა, ორ საათში დავაკავეთ. დაკავებისას, შეიარაღებული წინააღმდეგობა გაგვიწია, თუმცა მაინც ავიყვანეთ. როგორც გვითხრა, ფინანსური პრობლემები ჰქონდა, როცა გარდაცვლილის მეუღლე მივიდა, მას ბავშვობიდან იცნობდა და სთხოვა, ეგებ, ჩემი ქმარი დაიჭირო, 5 ათას მანეთს გადაგიხდიო. მილიციის თანამშრომელმა ფული გამოართვა, მაგრამ ზუსტად იცოდა, ვერანაირ საბაბს ვერ გამოძებნიდა, კაცს რაიონშიც ავტორიტეტი ჰქონდა და მამამისიც დიდი პატივისცემით სარგებლობდა, ამიტომ მოკლა, მაგრამ ვერ მოკლა გოგონა, რომელიც იმ დროს, ბაღში უნდა ყოფილიყო, მაგრამ მამამ დროზე ადრე გამოიყვანა და სახლში არასასურველი მოწმე დახვდა. უფრო მეტიც, გოგონა თავის ოთახში იყო, როცა ხმაური გაიგონა და გამოვიდა. სწორედ მაშინ დაინახა მკვლელის სახე“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

დაუკავეს გარდაცვლილის მეუღლეც. სასამართლომ მილიციის თანამშრომელს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ქალს მხოლოდ რვა წელი აკმარა. სანამ ის საჯელს იხდიდა, ბაბუამ იმდენი მოახერხა, რომ შვილიშვილზე მეურვეობის უფლება მოიპოვა და ბავშვი თავად გაზარდა.

პატიმარი №0578

ფიროსმანის ქუჩაზე „გოპნიკებმა“ 6 შვილის დედა გააუპატიურეს

როგორ „ჩაუშვა“ საშიში ბანდის ყველაზე პატარა წევრმა ბანდის მეთაური

„გოპ სტოპი“, ქართულად – „შეყენება“, რუსეთში, ომის შემდგომ პერიოდში შევიდა, საქართველოში კი – ბევრად გვიან. ეს იმდენად უკონტროლო დანაშაული იყო, რომ საქართველოში, „კანონიერმა ქურდებმა“ „ბეზპრიდელად“ მონათლეს და „გოპნიკებს“ თუ მოიხელთებდნენ, მკაცრადაც სჯიდნენ. მიზეზი მარტივი გახლდათ – ისინი საქმეზე ყოველგვარი „ნაკოლის“ გარეშე მიდიოდნენ, ასე ვთქვათ, სანადიროდ და მსხვერპლი, შესაძლოა, „კაი ბიჭის“ და, ან სულაც დედა აღმოჩენილიყო, თუმცა როგორც ყველა სფეროში, სრული კონტროლი, რაღა თქმა უნდა, წარმოუდგენელი გახლდათ და „გოპნიკები“ თავის საქმეს მაინც აკეთებდნენ.

80-იანი წლების მიწურულს ანუ მაშინ, როცა ძაღლი პატრონს სცნობდა, მაგრამ ადამიანი ადამიანს – ვეღარ, „გოპნიკები“ მომრავლდნენ და იმის გამო, რომ „კანონიერ ქურდთა“ რისხვა არ დაემსახურებინათ, ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობდნენ, 2-3 საქმეს „მოარტყამდნენ“ და ქრებოდნენ. შესაბამისად, ადგილობრივმა „ბლატატამ“ არაფერი იცოდა და ვერც იგებდა.

„ინფორმაცია შემოვიდა, ნახალოვკაში, საღამოს, ქალი შინ ბრუნდებოდა, მას პირველი სართულის ფანჯრიდან შვილი, 19 წლის ბიჭი უმზერდა და ამ დროს, სამი ნიღბიანი გადაეღობა. ნიღბად ქალის წინდები ჰქონდათ თავზე წამოცმული. მათ ქალს ფული მოსთხოვეს. შვილი დაუფიქრებლად გავიდა გარეთ და, დაახლოებით, ერთ წუთში, დანაგაყრილი მიწაზე ფართხალებდა“, – გვიყვება ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი ბანდის შესახებ, პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ბიჭი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, დედამ კი ჩვენება მხოლოდ მეორე დღეს მისცა. მისი თქმით, თავდამსხმელებს გადაჭრილი სანადირო თოფი, ე.წ. აბრეზიც ჰქონდათ. როცა შვილი დედის დასახმარებლად გავიდა, თავდამსხმელებს შორის ფიზიკურად და სავარაუდოდ, ასაკითაც ყველაზე დიდმა, „აბრეზი“ მეორეს მიაწოდა და უბრძანა, ესროლეო, თუმცა მან სროლა ვერ გაბედა. ამის შემდეგ ამოიღო დანა ბანდის სავარაუდო მეთაურმა და ბიჭს მუცელში დაუფიქრებლად გაუყარა. იმხანად ნახალოვკაში, ორ ათეულ „კანონიერ ქურდზე“ მეტი ცხოვრობდა და ეს თავდასხმა მათაც არ მოეწონათ. „გოპნიკებს“ ეძებდა ყველა – სამართალდამცავები, რიგითი ადამიანები, ქურდები, მაგრამ მათი კვალს ვერ მიაგნეს.

მომხდარიდან სამი დღის შემდეგ, უკვე ფიროსმანის ქუჩაზე მოხდა დანაშაული. ისევ სამი თავდამსხმელი, ისევ თავზე ქალის წინდები, ისევ დიდი დანა და „აბრეზი“. საბედნიეროდ, თავდასხმას მსხვერპლი არ მოჰყოლია, მაგრამ 6 შვილის დედა დანგრეულ შენობაში შეათრიეს და გააუპატიურეს. უფრო ზუსტად, ის ბანდის მეთაურმა გააუპატიურა და რადგან დაზარალებულმა ვერცერთის სახის აღწერილობა ვერ მისცა, სამართალდამცავებს ხელში არაფერი შერჩათ.

„ორი დღე გავიდა და ეს ქალი მოვიდა ჩემთან, მორალურად განადგურებული, თავი დახარა და ჩუმად თქვა, იმას, ვინც გამაუპატიურა, ჭიპთან დიდი ხალი აქვს, მარჯვენა მხარეს, დაახლოებით, სამი სანტიმეტრის დიაგონალის, თუმცა ამას სასამართლოზე ვერ გავიმეორებო. მისი კარგად მესმოდა, ის ორი დღეც იფიქრა, ეთქვა თუ არა და ბოლოს, მაინც გაბედა. ეს არ იყო ისეთი მინიშნება, სიხარულით მეცხრე ცას ვწეოდი, მაგრამ ასეთი ზომის ხალები ყოფილი პატიმრების პირად საქმეებში აუცილებლად აღინიშნებოდა ხოლმე და ამიტომ, კარტოთეკების შესწავლა დავიწყეთ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

სანამ მილიცია ხალიან ყოფილ მსჯავრდებულს ეძებდა, მორიგი დანაშაული მოხდა. ამჯერად, სტუდენტი გოგონა გაძარცვეს და... სამწუხაროდ, ისიც გააუპატიურეს. სტუდენტმა, პრაქტიკულად, ყველაფერი გაიხსენა და თქვა ისიც, რომ ბანდის მეთაური იმ ორსაც აიძულებდა გოგოს გაუპატიურებას, თუმცა ერთმა კატეგორიული უარი თქვა, მეორემ – ვერ შეძლო. გამოძიებამ ერთი რამ ზუსტად იცოდა – ძებნილები თბილისელები არ იყვნენ, რადგან სამართალდამცავთა გარდა, ქალაქი ქურდებმაც ფეხზე დააყენეს და ვერაფერი გააწყვეს.

გამომძიებლები იმასაც მიხვდნენ, რომ ბანდაში ერთ-ერთი ახალბედა და გამოუცდელი იყო. პრაქტიკულად, ყველა დაზარალებული ამბობდა, რომ ბანდის მეთაური ცდილობდა, სწორედ იმ ახალბედას ჩაედინა ისეთი რამ, რაც სითამამეს შემატებდა, ბოლომდე გასვრიდა, თუმცა ვერცერთ შემთხვევაში ვერ მოახერხა. გაჩნდა ვერსია, რომ დამნაშავეები, შესაძლოა, მატარებლის თანამშრომლები იყვნენ, რომლებიც სახეს იმიტომ მალავდნენ, შემთხვევით რომელიმე მგზავრს არ ეცნო. დაიწყო გამცილებლების შემოწმება, რაც მთავარია, გამოძიებამ იცოდა, რომ ბანდის მეთაური საკმაოდ მაღალი, ჯანიანი კაცი იყო, რომელსაც მუცელზე დიდი ზომის ხალი ჰქონდა. დიდი და ჯანიანი ვერავინ ნახეს და სამაგიეროდ, ნახეს კიდევ ერთი გაძარცვული კაცი, რომელსაც თავში რაღაც მძიმე ჩაარტყეს და... 30 მანეთი წაართვეს.

მერე იტყვიან სამართალდამცავები, გაუხარდათ, რომ დაზარალებული კაცი იყო და ძარცვას გაუპატიურება არ დაემატა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავდა, რომ მათ მოდუნების უფლება ჰქონდათ. ვაგზლის მიმდებარე ქუჩებზე, სამოქალაქო ფორმაში გადაცმულმა ოპერმუშაკებმა პატრულირება დაიწყეს, მაგრამ ამაოდ. სამი საეჭვო კაცი ვერსად ნახეს. სამაგიეროდ, ხმა გავარდა მომხდარის შესახებ და ქუჩის მაცხოვრებლები ძალიან ფრთხილობდნენ. სწორედ ამ სიფრთხილის გამო, საღამოს ლექციებიდან დაბრუნებულ ქალიშვილს დედ-მამა დახვდა და შინ ერთად მიდიოდნენ. დამნაშავეები არც სამეულს მოერიდნენ, გაძარცვეს და გოგოს გაუპატიურება იქვე, ჩიხში სცადეს, თუმცა სამივე ერთად აყვირდა, აკივლდა და თავდამსხმელები გაიქცნენ. სამოქალაქო ფორმაში გადაცმული სამართალდამცავების გარდა, „პატრულირება“ უკვე „კაი ბიჭებმაც“ დაიწყეს, თუმცა მათაც ხელი მოეცარათ. მძარცველები თითქოს მიწიდან ჩნდებოდნენ, შემდეგ კი ისე ქრებოდნენ, კვალს ვერავინ პოულობდა.

„ერთ დილით, სამსახურში მისულს, მორიგე გამომეგება, წერილია თქვენს სახელზეო. ჩვეულებრივ კონვერტს, მხოლოდ ჩემი სახელი და გვარი ეწერა. რა თქმა უნდა, მორიგემ უჩემოდ ვერ და არ გახსნა. როგორც მორიგემ მითხრა, დილით მოსაწევად გამოვიდა და წერილი პირდაპირ კართან ეგდო ანუ ის არც ფოსტალიონს მოუტანია და არც ისეთ ვინმეს, იდენტიფიცირება რომ შესაძლებელი ყოფილიყო, უბრალოდ, დააგდეს და წავიდნენ. კაბინეტში შევედი და წერილი ინტერესით გავხსენი. იქ მხოლოდ ერთი წინადადება ეწერა – ძარცვებს ესა და ეს პიროვნება სჩადისო. გადავამოწმე, ადრე ნასამართლევი პირი იყო, ოღონდ წვრილმანი ქურდობისთვის, მისი პირადი საქმე წამოვწიე და დამახასიათებელ ნიშნებს შორის, მუცელზე დიდი ხალიც ეწერა. გორში ცხოვრობდა ანუ ვარაუდი, რომ დედაქალაქიდან არ იყო, გამართლდა. აყვანის ოპერაციაზე პირადად გავედი და დაკავებულმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოასწრო, ბორკილები ლოგინში დავადეთ. სახლის ჩხრეკისას, ქურთუკის ჯიბეში ქალის წინდა ვიპოვეთ, რომელიც ნიღბის როლს ასრულებდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავები ზეიმობდნენ, გაუპატიურებულების ანალიზმა აჩვენა, რომ მოძალადე სწორედ დაკავებული გახლდათ, მაგრამ რად გინდა, ის ჩუმად იჯდა, ხმას არ იღებდა და თანამზრახველთა დასახელებას არც აპირებდა. ასე გავიდა ორი თვე. საქმე, პრაქტიკულად, მზად იყო სასამართლოში გადასაგზავნად, თუმცა გამოძიებას თანამზრახველები სურდა. მილიცია ვა-ბანკზე წავიდა.

ერთ დღეს, დაკავებული მორიგ დაკითხვაზე დაიბარეს და გამომძიებელმა მაგიდაზე ის წერილი დაუდო, რომლის საფუძველზეც დააკავეს. მან წერილი ყურადღებით ჩაიკითხა, შემდეგ თავი გადააქნია და სახელი და გვარი თქვა, თუმცა მხოლოდ ერთის. 18 წლის ბიჭი გორიდან მალე ჩამოიყვანეს.

„ამ ბავშვის მამა სასჯელს იხდიდა და ციხეში მოკვდა ტუბერკულოზით. სწორედ ამ კაცს დაუბარა, რომ გახვალ, შვილს მიმიხედეო. ესეც გამოვიდა, ბიჭს ესტუმრა და „გზაზე“ დააყენა, საქმეებზე დაჰყავდა და ეს, იმის მიუხედავად, რომ მას კრიმინალისკენ მიდრეკილება აშკარად არ ჰქონდა. ბანდის მესამე წევრი ამ ბიჭმა დაასახელა, ისიც გორელი, 24 წლის, ადრე წვრილმან ხულიგნობაზე ნასამართლევი. ისე გამოვიდა, რომ ამ ბიჭებს ბანდის მეთაურის ეშინოდათ. წერილის დაწერა ყველაზე პატარა წევრმა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც სახლში მისულმა დაინახა, როგორ აუპატიურებდა დედამისს მამას მეგობარი, რომელსაც წესით, მათთვის, უბრალოდ, ყურადღება უნდა მიექცია“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

სასამართლომ ბანდის მეთაურს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, დანარჩენ წევრებს – 12-12 წელი. ციხიდან მხოლოდ ყველაზე პატარა გამოვიდა, ბანდის მეთაური, „ზონაზე“ გადაყვანიდან ორ დღეში, ჩხუბში მოკლეს, სავარაუდოდ, მაშინ, როცა „საქათმეში“ წასვლაზე კატეგორიული უარი განაცხადა. მეორე ოთხი წლის შემდეგ გარდაიცვალა, ისიც – გაურკვეველ ვითარებაში, პატარა კი გამოვიდა და...

„ამ საქმიდან ორი წელი იყო გასული, როცა მორიგი წერილი მივიღე. ისევ ის ბიჭი წერდა, საქმე რომ გამახსნევინა, ამჯერად, ციხიდან. მადლობას მიხდიდა დაკავებისთვის და იმისთვის, რომ მორიგი დანაშაულები აღვკვეთეთ. პირობას მაძლევდა, ციხიდან რომ გამოვალ, ჩემზე პატიოსანი არავინ იქნებაო. მისი გათავისუფლების შემდეგ, რამდენჯერმე მოვიკითხე გორელ სამართალდამცავებთან. სიტყვა შეასრულა, დაოჯახდა, მიწას ამუშავებს და მართლაც, ძალიან პატიოსნად ცხოვრობს“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

პირსისხლიანი ჯუჯა, რომელმაც 80 წლის მოხუცი დააუთოვა

რატომ არ მიუსაჯეს სამუდამო პატიმრობა სასტიკ დამნაშავეს – სკანდალური საქმის დეტალები

ბათო ჯაფარიძე

უთო – როცა ეს სიტყვა თანამედროვე ახალგაზრდობას ესმის, მხოლოდ საოჯახო ტექნიკას თუ წარმოიდგენს. არადა, იყო დრო, როცა უთო საქართველოში დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი მთავარი იარაღი გახლდათ. სახლებში საყაჩაღოდ შესული კრიმინალები უთოს არცთუ იშვიათად იყენებდნენ – დაუთოვებული ხალხი ძვირფასეულობის სამალავს მარტივად ასახელებდა. სამწუხაროდ, ბოლო წლის განმავლობაში, დაუთოვების ორი შემთხვევა იყო საქართველოში და ჩვენი აზრით, ასეთ დანაშაულზე დაკავებული პირებისთვის აუცილებლად უნდა განიხილებოდეს სამუდამო სასჯელი.

„საკუთარ სახლში, მოხუცი პენსიონერი დააყაჩაღეს. თავდამსხმელებმა 80 წელს მიტანებული ქალი სასტიკად აწამეს, დააუთოვეს, ხელის თითები დაუმტვრიეს და როცა ის მეზობელმა შემთხვევით ნახა, სასწრაფოში დარეკა, თუმცა მცდელობის მიუხედავად, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. საქმე უკმაცრეს კონტროლზე აიყვანეს, რადგან დაუთოვება უმძიმეს დანაშაულად განიხილებოდა“, – გვივყება პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

მომხდარიდან მალევე, კიდევ ერთი ოჯახი დააყაჩაღეს. მამაკაცი დააბეს, ცოლი კი ჯერ გააუპატიურეს, შემდეგ დააუთოვეს და სახლიდან ოჯახის ოქროულობასთან ერთად, 800 მანეთი წაიღეს. დაზარალებულთა თქმით, სამი თავდამსხმელი იყო, მათ შორის, ერთი ძალიან დაბალი, ლამის ჯუჯა. ბრძანებებსაც ის პატარა იძლეოდა, გაუპატიურებაში კი სამივე მონაწილეობდა. კიდევ ერთი კვირის შემდეგ, მორიგი ყაჩაღობა მოხდა. იგივე ხელწერა, იგივე ხალხი, თუმცა ამჯერად, საქმეზე ხუთი პირი იყო. ის, რომ სამართალდამცავებს ერთსა და იმავე ბანდასთან ჰქონდათ საქმე, იქიდან ჩანდა, რომ ისევ ჯუჯა ფიგურირებდა და რაც მთავარია, როგორც წინა შემთხვევაში, უშუალოდ ის აუთოვებდა. ყველა მათგანს ნიღაბი ეკეთა, რაც დამნაშავეთა აღწერას შეუძლებელს ხდიდა.

„ერთ-ერთ თანამშრომელს იდეა გაუჩნდა. პენსიონერის სახლიდან სამხედრო მედლები წაიღეს – მამამისის მიერ, ომში მოპოვებული. ამ მედლების სურათი სახლში იყო, ავიღეთ, გაზეთში დავბეჭდეთ, რომ ასეთ მედლებს კარგ ფასად შევიძენდით. რამდენიმე ადამიანი გამოგვეხმაურა, თუმცა მხოლოდ ერთმა დაგვაინტერესა. ბოშა იყო, შეხვედრა ვერის ბაღში დაუთქვა ჩვენს თანამშრომელს. ბოშა მოვიდა და როგორც კი ჯიბიდან ორდენები ამოიღო, რაღაც იეჭვა და გაიქცა“, – გვიყვება ბატონი თემგიზი.

სამართალდამცავები გაქცეულს დაედევნენ და მოხდა გაუთვალისწინებელი რამ – გაქცეულმა ფეხი რაღაცას წამოჰკრა, მიწიდან ამოშვერილ ჯოხს გულმკერდით დაეცა და ადგილზე გათავდა. მილიციის თანამშრომლები ბოშების ბარონს დაადგნენ და გარდაცვლილის სურათი უჩვენეს. მან თავი გადააქნია, ეს ბოშა არ არისო, რის გამოც სტუმრები ძალიან გააბრაზა, მაგრამ იქვე აუხსნა – „მე ბოშების ბარონი ვარ, ესენი მოლდოველები არიან. სამწუხაროდ, ბევრს ერევა ბოშა და მოლდოველი ერთმანეთში, ყველას ერთ ქვაბში გვხარშავენ...“

გამომძიებლებმა გარდაცვლილის გარემოცვის შესწავლა დაიწყეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ის იმდენად დიდი და ჭრელი იყო, ვინმეზე ხელის დადება არ გამოვიდოდა, თანაც ვერ მიაგნეს მთავარს – ჯუჯა კაცს, რომელიც ბანდის მეთაურად ითვლებოდა. ძიება გრძელდებოდა, თუმცა ახალი ხელჩასაჭიდი არაფერი ჰქონდათ.

სამაგიეროდ, დამნაშავეები არ ისვენებდნენ და კვირაში, მინიმუმ, ერთხელ ყაჩაღობდნენ. უთო მუდმივად საქმეში იყო და შედეგებიც შესაბამისი – დაზარალებულები უმძიმესი დამწვრობით გადაჰყავდათ საავადმყოფოში.

„როცა ასეთი სიტუაციაა, იღბლიან შემთხვევას უნდა დაელოდო. არ შეიძლება, იღბალი მუდმივად ერთ მხარეს უღიმოდეს, ფორტუნა აუცილებლად აქცევს ზურგს კრიმინალებს და ეს მომენტი უნდა გამოგვეყენებინა. ამის დროც დადგა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ერთ დღეს, მილიციაში ვეტექიმი მივიდა და საგამოძიებოს უფროსთან შეხვედრა მოითხოვა, მნიშვნელოვანი ინფორმაცია მაქვსო. რაღა თქმა უნდა, ის გამომძიებელთან შეიყვანეს.

„გუშინწინ, გლდანულაში გამომიძახეს, ძროხა ვამშობიარე. იქიდან რომ მოვდიოდი, ორღობეში მანქანა გამიფუჭდა, გზა ჩავკეტე. სწორედ ამ დროს, უკნიდან ტაქსი მომადგა, ოთხი მგზავრი ჰყავდა, მათ შორის, ერთი ქალი და ვთხოვე, გვერდით მიმაგორებინეთ, გზას გავათავისუფლებ-მეთქი. ასეც მოიქცნენ, მომეხმარნენ, ერთის გარდა. ის ერთი, ტანად ძალიან დაბალი, ლამის ჯუჯა იყო, ოღონდ ბავშვის სახე ჰქონდა. დღეს კიდევ ვიყავი გლდანულაში და იქ თქვეს, რომ ოჯახი დააყაჩაღეს, ოჯახის წევრები დაუთოვეს და ყველაფერი ეს, ვიღაც ჯუჯა კაცმა გააკეთა. მათ სახეზეც ამოვიცნობ და რაც მთავარია, ტაქსის ნომერი დავიმახსოვრე, ჩემი დაბადების წელს და რიცხვს დაემთხვა“, – განაცხადა ვეტექიმმა.

მისი ჩვენების საფუძველზე, მილიციის თანამშრომლებმა ტაქსისტი მალე იპოვეს. მან არ დამალა, რომ გლდანულაში ნამდვილად იყო, ოთხი მამაკაცი სახლში შევიდა, გოგო მანქანაში დაუტოვეს, იქიდან, დაახლოებით, ორი საათის შემდეგ გამოვიდნენ, კარგად გადაუხადეს და ერთმანეთს მშვიდად დაშორდნენ. საბედნიეროდ, ტაქსისტს ახსოვდა, სად მიიყვანა მგზავრები. ჰო, მძღოლმა ისიც თქვა, ქალის გარდა, ყველა ბოშა იყოო. სახლი ქალაქის განაპირას იდგა და მისი თვალთვალი შეუძლებელი გახლდათ – უცხო ხალხს აუცილებლად შენიშნავდნენ და, მინიმუმ, გაფრთხილდებოდნენ, მაქსიმუმ კი, შეიძლებოდა, სროლა ამტყდარიყო, ამიტომ სამართალდამცავები სახლთან ღამით მივიდნენ, მოშორებით მიწა ამოთხარეს და იქ ჩაწვნენ. ერთი დღის შემდეგ, ისევ არაფერი ჰქონდათ – სახლში მიდიოდნენ და მოდიოდნენ ვიღაცები, მაგრამ მათ ნამდვილად არ ეტყობოდათ, რომ რამეს გეგმავდნენ. რაც მთავარია, მათ შორის არ იყო ჯუჯა. ამის მიუხედავად, აყვანის ოპერაცია დაიგეგმა და მილიციამ ოთხი მამაკაცი და ერთი ქალი დააკავა. ბედის ირონიით, სწორედ ამ დროს, სახლთან ტაქსმა ჩაიარა, სადაც სწორედ ის ჯუჯა იჯდა და სამართალდამცავებმა ისიც აიყვანეს. დაკავებული ყვიროდა, სკოლის მოსწავლე ვარ, რას მერჩითო და რეალურად, ისე გამოიყურებოდა, სკოლის მოსწავლისგან ვერ გაარჩევდით. სპეციალური სამედიცინო ექსპერტიზაც კი გახდა საჭირო იმისთვის, რათა მისი ასაკი მიახლოებით მაინც დაედგინათ, თუმცა როცა ძიება ბოლომდე წავიდა, მას 2 წლის შვილიც „უპოვეს“. შესაბამისად, ასაკთან დაკავშირებით კითხვები დასრულდა და გამოძიება დაიწყო, მაგრამ რად გინდა – დამნაშავეები ყველაფერს უარყოფდნენ და ამბობდნენ, რომ მილიცია შეცდა. ერთადერთი, გოგონა გახლდათ აშკარად დაბნეული. მისი მონაყოლიდან გაირკვა, რომ ბოშები (გოგოსაც ისინი ბოშები ეგონა) ვაჭრობდნენ, სახლებში დადიოდნენ, დეფიციტური საქონელი მიჰქონდათ, იქიდანაც მოჰქონდათ და ამაში დანაშაულის ნიშნებს ვერ ხედავდა. ის კი მანქანაში ელოდა მეგობრებს, რათა ტაქსი არ წასულიყო და შემდეგ ახალი არ ეძებნათ. ვაჭრობა ხშირად 2-3 საათი გრძელდებოდა, თუმცა გოგო მოთმინებით იცდიდა, რადგან ბანდიდან ერთ-ერთი, მისი საქმრო გახლდათ. გაირკვა ისიც, რომ ბანდაში 6 წევრი იყო, თუმცა საქმეზე 3-4-ზე მეტი არ დადიოდა, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ერთადერთი, ვინც ყველა საქმეზე მიდიოდა, სწორედ ის დაბალი გახლდათ, რომლისაც, აღნაგობის მიუხედავად, ყველას ეშინოდა, რადგან სასტიკი ადამიანის სახელი ჰქონდა გავარდნილი. სამართალდამცავებმაც ამით ისარგებლეს, გოგოს სთხოვეს, ის სახლები ეჩვენებინა, სადაც „ვაჭრობა“ იმართებოდა და უკვე მომხდარი დანაშაულის გარდა, გოგომ კიდევ ექვსი ახალი საქმე გახსნა, თან მას განსაკუთრებული ნიჭი აღმოაჩნდა და არათუ ის ახსოვდა, ვინ იყო საქმეზე, არამედ ისიც, რომელ დღეს და რომელ საათზე იმყოფებოდნენ.

„ამ მონაცემების მიღების შემდეგ, სათითაოდ დავიწყეთ დაკავებულთა დამუშავება. მათ ვეუბნებოდით, რომელ დროს, სად იყვნენ და ვეუბნებოდით იმასაც, რომ მეგობრებიდან ერთ-ერთმა, ჩვენების მიცემა დაიწყო. ყველაფერმა ამან შედეგი გამოიღო – თავის გადასარჩენად, ყველამ ჩვენების მიცემა დაიწყო. საქმე სასამართლოსთვის გამზადდა და იქ ერთადერთი მოთხოვნა იყო, არ დაესაჯათ გოგო, რომელმაც მართლა არაფერი იცოდა და სასამართლომ ეს თხოვნა გაითვალისწინა, თუმცა...“ – გვიყვება ბატონი თემგიზი.

პროკურატურა ბანდის მეთაურის დახვრეტას ითხოვდა, ხოლო, მინიმუმ, 15-წლიან სასჯელებს – სხვებისთვის, მაგრამ სასამართლომ უპრეცედენტოდ რბილი გადაწყვეტილება მიიღო და ბანდის მეთაურს 13 წელი მიუსაჯა, დანარჩენებს კი 10 წელიც არა. მერე ამბობდნენ, ნაქურდალი ნივთების უმეტესობა (რომლებიც სამართალდამცავებმა მართლა ვერ იპოვეს), უკვე გაყიდული იყო და მათში აღებული ფულით, კრიმინალებმა დაბალი სასჯელები, უბრალოდ, იყიდესო. ციხიდან ყველა მათგანი გამოვიდა, თუმცა მალე, საქართველო ყველამ დატოვა, მათ შორის, ბანდის მეთაურმაც. როგორც მერე ითქვა, მან ახალი ბანდა ტოლიატში ჩამოაყალიბა და არანაკლები სისასტიკით იქაც გაითქვა სახელი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს, თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად, თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართულ აქციაზე, მედიასაშუალებების წარმომადგენლების მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობისა და ძალადობის მუქარით პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, სამი პირი: წარსულში ნასამართლევი, 1982 წელს დაბადებული მ.დ., 1983 წელს დაბადებული ზ.ჭ. და ასევე, წარსულში ნასამართლევი, 1979 წელს დაბადებული ზ.მ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა რომ დაკავებულებმა ტელეკომპანია „რუსთავის 2“-ის, „მთავარი არხის“, გამოცემა „ტაბულასა“ და საინფორმაციო სააგენტო „ნიუპოსტის“ წარმომადგენლებს, „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართული აქციის მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა ტერიტორიაზე, ძალადობით და ძალადობის მუქარით ხელი შეუშალეს ჟურნალისტურ საქმიანობაში და მიაყენეს ფიზიკური დაზიანება.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მეორე ნაწილით და 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გრძელდება.

ძალადობრივ ქმედებებში და კანონდარღვევის ფაქტებში მონაწილე პირთა იდენტიფიცირების მიზნით, გრძელდება აქტიური საგამოძიებო მოქმედებები. ამ დროის მონაცემებით, უკვე გამოიკითხა სხვადასხვა მედიასაშუალების 25 წარმომადგენელი, მიმდინარეობს ინციდენტების ამსახველი მასალების შესწავლა, ასევე, დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით, გრძელდება აქტიური საგამოძიებო ღონისძიებები.

შსს-ს ინფორმაცია 5 ივლისს, პოლიციის მიერ გამოვლენილი კანონდარღვევის ფაქტებისა და მათზე მომხდარი რეაგირების შესახებ

გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია მიმდინარე წლის 5 ივლისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოვლენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისა და მათზე პოლიციის მხრიდან განხორციელებული რეაგირების შესახებ. გამოვლენილ სამართალდარღვევის ფაქტებზე, ამ ეტაპზე, ადმინისტრაციული წესით დაკავებულია 8 პირი. ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებებით, 55 პირის მიმართ გამოვლინდა ძალადობის ფაქტები, მათ შორის, 53 არის სხვადასხვა მედიასაშუალების წარმომადგენელი.

საგამოძიებო და საპროცესო ღონისძიებები გრძელდება გამოვლენილ შემდეგ კანონდარღვევის ფაქტებზე:

რუსთაველის გამზირზე, მედიასაშუალებების წარმომადგენელთა მიმართ განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებზე და პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტებზე, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) და 126-ე (ძალადობა) მუხლებით მიმდინარეობს. თბილისში, მოძრაობა „სირცხვილიასა“ და „თბილისი პრაიდის“ ოფისზე განხორციელებულ კანონსაწინააღმდეგო ფაქტებთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით გრძელდება გამოძიება. ახვლედიანის ქუჩა №17-ში მდებარე „თბილისი პრაიდის“ ოფისთან განვითარებულ მოვლენებზე, სხვისი ნივთის დაზიანების ან განადგურების ფაქტზე გამოძიება, ასევე, სსკ-ის 187-ე მუხლით გრძელდება.

ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის შენობასთან დაფიქსირებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე, სადაც სავარაუდოდ პიროტექნიკის აფეთქებით დაზიანება მიიღო ერთ-ერთმა მოქალაქემ, გამოძიება სსკ-ის 187-ე და 126-ე მუხლებით გრძელდება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კიდევ ერთხელ გმობს სიძულვილით მოტივირებულ ქმედებებს, მათ შორის, მედიასაშუალებების წარმომადგენლების მიმართ გამოხატულ ძალადობას. ყველა ჩამოთვლილ ფაქტზე ტარდება შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. ძალადობრივ ქმედებებში და კანონდარღვევის ფაქტებში მონაწილე პირთა იდენტიფიცირების მიზნით, მიმდინარეობს ინციდენტების ამსახველი მასალების შესწავლა.

პოლიციამ უცხო ქვეყნის მოქალაქის დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული გ.ხ., განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, ცხელ კვალზე, თბილისში დააკავეს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლებას აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 5 ივლისს, თბილისში, კ. ხეთაგუროვის ქუჩაზე, გ.ხ. უცხო ქვეყნის მოქალაქე ჯ.კ.-ს, მოულოდნელად თავს დაესხა და ცივი იარაღით სხეულის დაზიანება მიაყენა. დაშავებული მამაკაცი სასწრაფო-სამედიცინო ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა. გ.კ. შემთხვევის ადგილზევე დააკავეს. დაკავებულის ოჯახის წევრების განმარტებით, მას ფსიქიკური პრობლემები აღენიშნება.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო. გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 19-108 მუხლით მიმდინარეობს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა და ეროვნულმა გვარდიამ ერთობლივი ფართომასშტაბიანი სწავლება – „სამოქალაქო უსაფრთხოება 2021“ ჩაატარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ეროვნულ გვარდიის ერთობლივი ორგანიზებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გორანას ტყეში, ფართომასშტაბიანი სახანძრო-სამაშველო სწავლება გაიმართა.

სწავლებას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, იოსებ ჭელიძე, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გრიგოლ გიორგაძე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი, თეიმურაზ მღებრიშვილი და ეროვნული გვარდიის სარდალი, ბრიგადის გენერალი რომან ჯოხაძე დაესწრნენ. სწავლებაზე მიწვეულ სტუმრებს შორის, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ასევე, სხვა მაღალი რანგის პირები დაესწრნენ. საველე წვრთნის მიზანს, საგანგებო სიტუაციების დროს, მხარეებს შორის კოორდინირებული მუშაობისას არსებული ძლიერი მხარეებისა და გამოწვევების დეტალური ანალიზი წარმოადგენდა. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და ეროვნული გვარდიის თანამშრომლებს, წინასწარ მომზადებული სცენარის მიხედვით, ტყის ხანძართან დაკავშირებულ ყველა პრობლემასთან მოუწიათ გამკლავება. ლეგენდის მიხედვით, მასშტაბური ტყის ხანძრები საქართველოს რამდენიმე რეგიონში ერთდროულად იყო გავრცელებული, რის გამოც, გვიან ღამით, სოფელ გორანას სიახლოვეს გაჩენილი კიდევ ერთი ხანძრის ჩასაქრობად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა ეროვნული გვარდიის დახმარება ითხოვა. სცენარის მიხედვით, ძლიერი ქარის გათვალისწინებით, არსებობდა ხანძრის დასახლებულ ტერიტორიაზე გავრცელების საფრთხეც და საჭირო იყო ოპერატიული რეაგირება.

წვრთნაში ჩართული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი, რომელმაც დაშავებულთა ევაკუაციისა და ტყის ხანძრის ქრობის ამოცანები შეასრულა. სწავლებაში სულ 180-მდე მეხანძრე-მაშველი და 150-მდე სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა. პირადი შემადგენლობის გარდა, პროცესში ჩართული იყო ორივე სამსახურის სპეციალური ტექნიკა. სწავლების დროს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის პირდაპირი მოვალეობა – რამდენიმე კერაზე ხანძრის ქრობა, ხოლო ეროვნული გვარდიის ფუნქცია – ხანძრის შესაკავებლად სპეციალური ზოლის გაჭრა, საევაკუაციო ღონისძიებები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვა და სხვა დამხმარე ღონისძიებების ჩატარება იყო. ხანძრის ქრობის სამუშაოების მონიტორინგი სპეციალური საველე შტაბიდან ხორციელდებოდა. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინსტრუქტორების მიერ, საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, ეროვნული გვარდიის თანამშრომლებსა და რეზერვისტებს მოამზადებენ, რათა საჭიროების შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციების დროს, ერთობლივი ძალების მობილიზება მოხერხდეს. სწავლება ორ უწყებას შორის ხელმოწერილი ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში გაიმართა. აღნიშნული მემორანდუმი, სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის კუთხით, ერთობლივ ღონისძიებებს გულისხმობს, რაც ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით არის გათვალიწინებული. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და ეროვნულ გვარდიას შორის, სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის კუთხით, სხვადასხვა სახის ღონისძიებების გამართვა მომავალშიც იგეგმება.

ქართული კლუბები ევროთასებს იწყებენ

ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი აიღებს სტარტს. საქართველოს ჩემპიონს, პირველ ეტაპზე, ბაქოს „ნეფთჩი“ ერგო და იმის მიუხედავად, რომ თავის დროზე დინამოელები აზერბაიჯანულ კლუბს სადაც დაიჭერდნენ, იქ უგებდნენ, ახლა სიტუაცია სხვაგვარია და ფავორიტად სწორედ აზერბაიჯანული კლუბი ითვლება. ბაქოელები იმუქრებიან კიდეც, „დინამოს“ ბარიერს აუცილებლად გავივლითო და კლუბების ბიუჯეტს თუ შევადარებთ, ამის თქმის საფუძველი ნამდვილად აქვთ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული ფეხბურთის ფლაგმანი ფავორიტად „ნეფთჩისთანაც“ კი არ ითვლება. 7 ივლისს, პირველი შეხვედრა „დინამო არენაზე“ გაიმართება, მატჩი 20.00 საათზე დაიწყება.

კონფერენს-ლიგაზე სამი ქართული კლუბი იასპარეზებს და სამივე პირველ შეხვედრას სტუმრად მართავს. გორის „დილა“ სლოვაკურ „ჟილინასთან“ ჩაატარებს, „გაგრა“ მონტენეგროში „სუტიესკას“ ესტუმრება, ხოლო ბათუმის „დინამო“ სან მარინოში ჩადის, სადაც ადგილობრივ „ტრე პენეს“ დაუპირისპირდება. სამეულიდან საუკეთესო შანსი აჭარულ კლუბს აქვს,რადგან არც „ტრე პენეა“ ის დონე, ბათუმელებმა ვერ მოუგონ და ზოგადად, დღესდღეობით, გია გეგუჩაძის გუნდი საუკეთესოა შემადგენლობით საქართველოში და ჩემპიონატშიც პირველ ადგილზე შემთხვევით არ იმყოფება.

„გენტმა“ ჩაკვეტაძე არ გაყიდა

აგერ, უკვე მეორე წელი დაიწყო, ერთ-ერთ უნიჭირერეს ქართველ ფეხბურთელს, გიორგი ჩაკვეტაძეს ბურთი ჯეროვნად არ გაუგორებია. ის ტრავმებმა გააწამეს და რეაბილიტაციის პერიოდიც არა და არ დასრულდა. ბევრი ვარაუდობდა, რომ „გენტი“ ქართველის მოცილებას შეეცდებოდა, თუმცა შეცდნენ. ბელგიურ კლუბს წინადადებით თურქულმა „ტრაბზონმა“ მიმართა და ჩაკვეტაძეში ბენილუქსელებს თანხა შესთავაზა, თუმცა უარი მიიღო.

„გენტში“ ყველა დარწმუნებულია, რომ მომავალ სეზონში, ჩაკვეტაძე საბოლოოდ ათამაშდება, ტრავმები აღარ შეაწუხებს და ის გუნდის წარმატებაში უდიდეს როლს ითამაშებს“, – წერს ბელგიური მედია.

„ტორპედო“ ბავშვების იმედად

არა და არ დაადგა საშველი ქუთაისის „ტორპედოს“. საქართველოს რანგით მეორე კლუბი, კვლავ ვალებშია ჩაფლული. იტალიელი ინვესტორის წასვლის შემდეგ, გუნდის ფეხბურთელებს ხელფასი ოთხი თვის განმავლობაში არ მიუღიათ. შედეგად, ეროვნული ლიგის მორიგ ტურში, „საბურთალოს“ წინააღმდეგ, ძირითადი გუნდის ყველა ფეხბურთელმა თამაშზე უარი თქვა. ამიტომ, „ტორპედოს“ თავკაცი კახა ჩხეტიანი იძულებული გახდა, შემადგენლობა 19 და 17-წლამდელი ფეხბურთელებით დაეკომპლექტებინა, თუმცა განაცხადის შესავსებად საკმარისი ესეც არ აღმოჩნდა, რის გამოც ჩხეტიანს „საბურთალოსთან“ მატჩში სათადარიგოთა სკამზე... 15 წლის ნიკა ფხაკაძეც ეჯდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა „საბურთალომ“ მარტივად, 3:0 მოიგო, „ტორპედოს“ კი დროზე თუ არ ეშველა, საქართველოს მეორე ქალაქი ფეხბურთის გარეშე დარჩება.

მესი „ბარსელონას“ ფეხბურთელი აღარ არის

ლიონელ მესი არგენტინის ნაკრებთან ერთად, „კოპა ამერიკის“ მოსაგებად იბრძვის და სწორედ მისი საუცხოო თამაშის წყალობით, „ალბისელესტე“ ტურნირის ½-ფინალშია გასული. ამ დროს კი მისი აგენტები „ბარსელონას“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს მართავენ, თუმცა ჯერჯერობით საიმედო არაფერი ჩანს. ოფიციალურად, არგენტინელი ვარსკვლავი კატალონიური გუნდის ფეხბურთელი აღარ არის, რადგან ხელშეკრულება ამოეწურა და ახალი კონტრაქტის ხელმოწერასაც არ ჩქარობს.

პირველ რიგში, კლუბის ფინანსური პრობლემებიდან გამომდინარე, არგენტინელს გარანტიების მიღება სურს, რომ მას კონტრაქტით გათვალისწინებულ სრულ თანხას გადაუხდიან, იმის მიუხედავად, დაიწყება თუ არა პანდემიის ახალი ტალღა ან ფეხბურთის კრიზისი უფრო გაღრმავდება ანუ რაც არ უნდა მოხდეს, ლეომ კუთვნილი უნდა მიიღოს. მეორე პრობლემაა, როგორ აპირებს კლუბი მესისთვის იმ ვალის გასტუმრებას, რომელიც ჯერ კიდევ ძველი კონტრაქტიდან დარჩა და სწორედ პანდემიის გამო, ვერ გადაუხადეს. მესამე და მთავარი – მხარეებმა არ იციან, როგორ მოაგვარებს „ბარსელონა“ გადასახადების პრობლემებს. თუ კლუბი მომავალი ორი წლის განმავლობაში ვერ გადაუხდის მესის კონტრაქტით გათვალისწინებულ დავალიანებას, აღნიშნული თანხა არგენტინელმა, შესაძლოა, ამერიკაში მიიღოს. 2023 წლიდან, ლეო სწორედ შტატებში აპირებს კარიერის ბოლო ორი წლის გატარებას. შესაბამისად, ფეხბურთელის წარმომადგენლებს აინტერესებთ, სად მოუწევს ლიონელს გადასახადების გადახდა – ესპანეთსა თუ ამერიკაში. ამ ქვეყნებს სხვადასხვა საგადასახადო სისტემა აქვთ და ყველაფერი კარგადაა დასაანგარიშებელი.

ესეც არ იყოს, მესი სკეპტიკურად უყურებს გუნდის გაძლიერების პროცესს. მართალია, ახალმა პრეზიდენტმა, ხუან ლაპორტამ დაბეჯითებით განაცხადა, „ბარსას“ სუპერკლუბად ვაქცევო და უკვე სერხიო აგუერო, მემფის დეპაი და ერიკ გარსია გაიფორმა, მაგრამ ლეოს აზრით, ეს საკმარისი არაა და ბარესლონას ბევრად უკეთესი მოთამაშეები სჭირდება, ტრანსფერების ფული კი უბრალოდ არ არის.

აზერბაიჯანი სკანდალში – სტიუარტმა ფანებს ლგბტ დროშა ჩამოართვა

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი ოთხ ქვეყანაში იმართება და მათ შორის, ერთ-ერთი, აზერბაიჯანიცაა. როცა ჩემპიონატი დაიწყო, აზერბაიჯანისა და რუსეთის (ჩემპიონატის მატჩები სანკტ-პეტერბურგშიც ტარდებოდა) ხელისუფლებამ უეფას გასაგებად აუხსნა, რომ მოძრავ სარეკლამო ბანერებზე, ლგბტ დროშის ფერების რეკლამას არ განათავსებდა და უეფასგან თანხმობაც მიიღო.

დანია-ჩეხეთის ¼-ფნალური შეხვედრა ბაქოში გაიმართა და დანიელმა გულშემატკივრებმა ლგბტ დროშა გაშალეს, რომელიც სტიუარტმა მაშინვე ჩამოართვა. ამ ამბავს დანიელი გულშემატკივრების მხრიდან პროტესტი მოჰყვა, მაგრამ აზერბაიჯანელმა სტიუარტებმა ქომაგებს წაუთაქეს და კონფლიქტიც ამოწურეს. სამაგიეროდ, უეფამ ატეხა ერთი ამბავი.

„უეფას ბაქოში ან ნებისმიერ სხვა სტადიონზე მომუშავე სტიუარდებისთვის არასდროს მიუცია ინსტრუქცია, რომ მათ „ცისარტყელა“ დროშის კონფისკაცია მოახდინონ. ამ საკითხზე გამოძიება მიმდინარეობს და აუცილებლად დავუკავშირდებით უეფას დელეგატს, უეფას უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელსა და ადგილობრივ მთავრობას, რათა გავარკვიოთ, რა მოხდა. თავდაპირველი ინფორმაციით, გულშემატკივარი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იყო და ადგილობრივი ქომაგები მის მიმართ აგრესიით გამოირჩეოდნენ. „ცისარტყელა“ დროშა არის სიმბოლო, რომელიც უეფას მთავარ ღირებულებებს განასახიერებს და წინა პლანზე სწევს ყველაფერს, რისიც გვჯერა – მეტი სამართლიანობა, ეგალიტარისტული საზოგადოება, ტოლერანტობა ყველას მიმართ. უეფა იზრუნებს, რომ დროშა გულშემატკივარს დაუბრუნდეს“, – ნათქვამია უეფას განცხადებაში.

მხოლოდ დროშა არა, ტარიც დაუბრუნეთ ბატონებო, ტარიც!

2 ივლისს, ანდრეს ესკობარი მოკლეს

1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს კოლუმბიის ნაკრები მას შემდეგ გამოეთიშა, რაც გუნდის კაპიტანმა, ანდრეს ესკობარმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. ნამატჩევს მან მომხდარის გამო მწუხარება გამოთქვა და განაცხადა, რომ ამით ცხოვრება არ მთავრდება. არადა, ცდებოდა...

სამშობლოში დაბრუნებულ ანდრესს, კაფეში, თავს შეიარაღებული პირი დაესხა და ექვსი ტყვია დაახალა. ყოველი გასროლის შემდეგ, თავდამსხმელი ყვიროდა – გოლი, გოლი!

სამართალდამცავებმა მკვლელი იმავე დღეს დააკავეს. ის კოლუმბიური ნარკოკარტელის ერთ-ერთი წევრი, უმბერტო კასტრო მუნიოსი აღმოჩნდა, რომელმაც დანაშაული აღიარა. კოლუმბიის სასამართლომ მას თავისუფლების 43 წლით აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა „სამაგალითო საქციელისათვის“, მუნიოსმა ციხე 11 წელიწადში დატოვა. 2002 წელს, კოლუმბიაში ესკობარის ძეგლი დადგეს.

ინგლისი-უკრაინამ რეკორდი მოხსნა

ევროპის ჩემპიონატის ¼-ფინალში, ერთმანეთს უკრაინისა და ინგლისის ნაკრებები დაუპირისპირდნენ. შეხვედრა ბრიტანელთა სრული უპირატესობით წარიმართა და ანდრეი შევჩენკოს გუნდმა 0:4 წააგო. თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს შეხვედრა ისტორიაში შევა, როგორც 2021 წლის რეკორდულად საინტერესო მატჩი. „ბი-ბი-სის“ ყველა პლატფორმის გათვალისწინებით, შეხვედრას ტელე-ეკრანებიდან თვალი 21 მილიონმა ადამიანმა ადევნა. ამას გარდა, ხალხი შეკრებილი იყო დიდ ეკრანებთან, პაბებში, ბარებში...

„ეს იყო ჩვენი მაქსიმუმი, მეტის გაკეთება, უბრალოდ, არ შეგვეძლო. თუ გვინდა, რომ მეტს მივაღწიოთ, უკრაინელი ფეხბურთელები ტოპ-5-ის ჩემპიონატებში უნდა თამაშობდნენ“, – განაცხადა ნამატჩევს შევჩენკომ და... უკრაინას ტოპ-5-ში რამდენიმე მოთამაშე ჰყავს, ჩვენ – არცერთი. ეს ისე, ცნობისთვის.

ჰამილტონი შუმახერის რეკორდს უტევს

ვეტერანი პილოტი, ლუის ჰამილტონი გულშემატკივრებს, მინიმუმ, ორი წლის განმავლობაში კიდევ გაახარებს – მან „მერსედესის“ საჯინიბოსთან ხელშეკრულება ორი წლით გაახანგრძლივა და ბოლიდით მომდევნო ორი წელი იქროლებს.

ჰამილტონის მიზანი ყველასთვის ნათელია – მას სურს, „ფორმულა-1“-ის ისტორიაში, ყველაზე ტიტულოვანი მრბოლელი გახდეს. დღეისთვის, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, გერმანელი მიხაელ შუმახერი გახლავთ, რომელიც რამდენიმე წელია, კომაში იმყოფება. ლუისს მსოფლიოს 6 ტიტული აქვს მოგებული და სავარაუდოდ, სურს, ბოლო ორი წლის განმავლობაში, ჩემპიონობა ორივეჯერ იზეიმოს და აბსოლუტური რეკორდსმენი გახდეს. საამისო შანსები ჰამილტონს ნამდვილად აქვს, მაგრამ... ცოტა უხერხული ხომ არ არის, კომაში მყოფი კაცის (თან რა კაცის) რეკორდებს რომ უტევ?!

ხულიო კორტესარი

მიტაცებული სახლი

სახლი ჩვენ მოგვწონდა. იგი ფართოც იყო და ძველიც (რასაც იშვიათად შეხვდებით ახლა, როცა ძველ სახლებს გამორჩენის თვალით უყურებენ), მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ის ინახავდა ჩვენი წინაპრების ხსოვნას, პაპაჩემისას – მამის მხრიდან, დედაჩემის, მამაჩემისა და ბავშვების ხსოვნას.

მე და ირენე მარტო ყოფნას მივეჩვიეთ, თუმცა რასაკვირველია, ეს სისულელე იყო – ჩვენს სახლში ბარე რვა კაცი დაეტეოდა. შვიდ საათზე ვდგებოდით, იქაურობას ვალაგებდით, დაახლოებით, თერთმეტ საათზე მე ქურასთან ვიწყებდი ტრიალს, დარჩენილ ორ-სამ ოთახს კი, მისალაგებლად დას ვუტოვებდი. ზუსტად შუადღისას ვსაუზმობდით, ამის მერე, ჭურჭლის დარეცხვის გარდა, საქმე აღარაფერი გვქონდა.

მაგიდასთან შემომსხდრებს გვიყვარდა ჩვენს დიდსა და მყუდრო სახლზე ფიქრი, ფიქრი იმაზე, სხვის დაუხმარებლად როგორ მშვენივრად ვუძღვებოდით აქაურობას. ხანდახან გვეგონა, რომ სწორედ ამ სახლის გადამკიდენი დავრჩით მარტონი.

ირენემ სრულიად უმიზეზოდ უთხრა უარი ორ საქმროს, ჩემი მარია ესთერი კი, დაწინდვამდე გარდაიცვალა. ორივენი ორმოცს ვიყავით მიტანებულნი და თითოეულს ჩვენდათავად გვჯეროდა, და-ძმის უშფოთველი და გულითადი ურთიერთობით დავასრულებდით ამ სახლის ყოფილ ბინადართა საგვარეულოს: ვფიქრობდით, ოდესმე აქ დავიხოცებით, სახლს კი, ჩვენი უცხვირპირო შთამომავლობა დაეპატრონებოდა და ქვითა და მიწით სარგებლობის გულისთვის ნანგრევებად აქცევდა; ან სანამ გვიან არ იყო, იქნებ, ჩვენ თვითონ დაგვენგრია?

ირენეს თავის დღეში არავისთვის უწყენინებია, დილით მორჩებოდა თუ არა სახლის დალაგებას, თავის საძინებელ ოთახში ტახტზე მოკალათდებოდა და დაღამებამდე ქსოვდა. არ ვიცი, ამდენს რას ქსოვდა. ვფიქრობ, ქალები ქსოვას იმიტომ ისაბაბებენ, რომ სხვა აღარაფერი აკეთონ, თუმცა ირენეზე ამას ვერ იტყოდი. ის მუდამ საჭირო რამეებს ქსოვდა საზამთროდ, ჩემთვის წინდებს, თავისთვის კი, – კოფთებს. თუ არ მოეწონებოდა, არც დაფიქრდებოდა, ისე დაარღვევდა ახლადმოქსოვილ სვიტერს. ჰოდა, მეც მიყვარდა საათობით მეცქირა, როგორ იდო შეუცვლელად კალათში გორგალი.

შაბათობით ძაფის საყიდლად ცენტრში დავდიოდი; ჩემი და მენდობოდა. ფერებს მშვენივრად ვარჩევდი და ერთი გორგალის გამოცვლაც არ დაგვჭირვებია. შინიდან გასული შემთხვევით ვსარგებლობდი, შევივლიდი ბიბლიოთეკაში და ვკითხულობდი, თუმცა ყოველთვის უშედეგოდ, საფრანგეთიდან ახალი ხომ არაფერი მოსულა-მეთქი.

1939 წლიდან მოკიდებული, ჩვენთან, არგენტინაში საყურადღებო აღარაფერი შემოდიოდა, თუმცა მე ხომ სახლზე ვაპირებდი ამბის მოყოლას, სახლსა და ჩემს დაზე, რადგან თვითონ მე არაფრით ვარ საინტერესო. რა ეშველებოდა ნეტა, ირენეს, ქსოვა რომ არ გამოეგონებინათ?! ხელმეორედ წიგნის გადაკითხვა შეიძლება, მაგრამ პულოვერის ხელახლა მოქსოვა, მეტისმეტია.

ერთხელ, კომოდის უჯრაში, სადაც ზამთრის ტანსაცმელს ვინახავდით, წყობად დალაგებულ, ნაფტალინწაყრილ უთვალავ თეთრ, მწვანე და იასამნისფერ თავსაფრებს წავაწყდი. ვერ გავბედე მეკითხა, ამდენი თავსაფარი რად გვინდა-მეთქი. ფული არ გვჭირდებოდა, სოფლიდან ყოველთვიურად ვღებულობდით და ჩვენი ქონებაც დღითი-დღე იზრდებოდა. ეტყობა, ჩემს დას გუნებით უყვარდა ქსოვა და განსაცვიფრებლადაც ქსოვდა. შემეძლო, საათობით მედევნებინა თვალი მისი ხელებისთვის, ვერცხლისფერი ჩხირების სწრაფი ელვარებისა და იატაკზე მდგარ კალათში გორგლების მოძრაობისთვის – ლამაზი სანახავი იყო.

არასოდეს დამავიწყდება ოთახების განლაგება. სასადილო, გობელენებიანი დარბაზი, ბიბლიოთეკა და სამი საძინებელი ოთახი სახლის მეორე მხარეს იყო. მათი ფანჯრები როდრიგეს პენიას ქუჩაზე გადიოდა. იქით გამავალი დერეფნისგან მუხის კარი გვყოფდა. ჩვენს მხარეს სამზარეულო, სააბაზანო, ჩვენი ოთახები და სასტუმრო იყო, იქიდან ჩვენთან შემოსვლაც შეიძლებოდა, დერეფანში გასვლაც და პატარა ტამბურს თუ გაივლიდით, მაიოლიკით მოპირკეთებულ წინკარშიც შეხვიდოდით.

ამ წინკარში, გააღებდით კარს და ჰოლში აღმოჩნდებოდით, იქიდან კი ჩვენს ოთახში გახვიდოდით, დერეფნის იქით ცოტას კიდევ თუ გაუყვებოდით, სახლის შორეულ კუთხეში გახვიდოდით, რომლისგანაც მეორე მუხის კარი გვყოფდა. ამ კარის წინ მდგარი, მარცხნივ რომ შეტრიალებულიყავით, ვიწრო გასასვლელით, სამზარეულოსა და სააბაზანოში მოხვდებოდით.

როცა მუხის კარი ღია იყო, სახლი ნამდვილად ვეებერთელა ჩანდა, როცა ვხურავდით, თავი თანამედროვე ვიწრო ბინაში გვეგონა. მე და ირენე კარს აქეთ ვცხოვრობდით, კარს იქით მარტო დასალაგებლად გავდიოდით. საოცარია პირდაპირ, როგორ იდებს მტვერს ეს ავეჯი!

ბუენოს-აირესი სუფთა ქალაქია, მაგრამ ამას ქალაქელებს უმადლოდნენ. ჰაერში მუდამ მტვრის კორიანტელი დგას – დედამიწა გამომშრალია და საკმარისია, ქარმა დაუბეროს, რომ მტვრით დაიფაროს მარმარილოს კონსოლი და ჭრელი სუფრები. მაგასთან, სულ ერთია, ვერაფერს გააწყობ, სადაც არ მგონია, იქ დაგვხდება, შენ ცოცხით ფერთხავ, ის კი, ისევ და ისევ ედება სავარძლებს.

ეს ამბავი სიცოცხლეშივე მემახსოვრება, რადგან ყველაფერი ძალზე უბრალოდ მოხდა: ირენე თავის ოთახში ქსოვდა, საათმა რვა დარეკა, მე მატეს დალევა მომინდა. დერეფანი გავიარე, გამოღებულ კარამდე მივედი და სამზარეულოსკენ რომ შევტრიალდი, ბიბლიოთეკიდან თუ სასადილოდან ხმაური მომესმა, ყრუ, გაურკვეველი ხმაური, თითქოს ვიღაცები საუბრობდნენ, თუ სავარძელი ეცემოდა ხალიჩაზე. იმავე წამს, ან შეიძლება ცოტა მოგვიანებით, ხმაური დერეფნის მეორე მხრიდან გავიგონე. მაშინვე კარს ვეცი და დავკეტე. კიდევ კარგი, გასაღები ჩვენკენ იყო, გულის დასაარხეინებლად ურდულიც გავუყარე.

მერე სამზარეულოში შევედი, მატე მოვადუღე, ირენეს მივუტანე და ვეუბნები:

– კარი დავკეტე, მეტი გზა არ იყო, იქითა ოთახები დაუკავებიათ.

ირენემ საქსოვი კალთაზე დაუშვა და სერიოზული, დაღლილი მზერა მომაპყრო.

– დარწმუნებული ხარ?

მე თავი დავუქნიე.

– რას იზამ, აქეთ ვიცხოვროთ, – თქვა და ქსოვა გაგრძელა.

მე ფრთხილად გავუწოდე მატე, სანამ ქსოვას მოუბრუნდებოდა, ირენე ცოტა ხანს შეყოვნდა. მახსოვს, ნაცრისფერ ჟილეტს მიქსოვდა; ძალზე მომწონდა ის ჟილეტი.

პირველ დღეებში გაგვიჭირდა – კარს იქით ბევრი საყვარელი ნივთი დაგვრჩა. ჩემი ფრანგული წიგნები ბიბლიოთეკაში ელაგა, ირენე ხელსახოცებსა და თბილ ბაჩუჩებს მოისაკლისებდა. მე ჩემი ღვიის ჩიბუხი მენატრებოდა, ვინ იცის, ჩემ დასაც როგორ უნდოდა ერთი ბოთლი ღვინის გამოტანა, ზოგჯერ რომელიმე უჯრას გამოვწევდით და ჩემთვის საჭირო ნივთს ვერ ვიპოვიდით, ნაღვლიანად გადავხედავდით ერთმანეთს და ვიტყოდით:

– არა, აქ არ არის.

თუმცა, ამ ამბით რაღაცით მაინც ვისარგებლეთ – სახლის მოვლა გაგვიიოლდა; ახლა უფრო გვიან ვდგებოდით და თერთმეტი სააათისთვის ვასწრებდით დალაგებას. სამზარეულოში ირენეც მუდამ ჩემთან იყო. ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტეთ, ვიდრე მე სადილს გავაკეთებდი, ის ვახშმის თადარიგს შესდგომოდა, რაიმე ცივი კერძი მოემზადებინა, ქურასთან ტრიალი საღამოობით გვეზარებოდა მაინც და ახლა პირდაპირ ირენეს მაგიდაზე ვშლიდით ხოლმე ცივ საუზმეულს.

ჩემ დას, მისდა სასიხარულოდ, საქსოვად გაცილებით მეტი დრო დარჩა, მე კი, ჩემი წიგნების დამკარგავს, სასიხარულო ბევრი არაფერი მქონდა, მაგრამ ირენესთვის გუნება რომ არ გამეფუჭებინა, მამისეული მარკების კოლექციის წესრიგში მოყვანა დავიწყე და, ასე თუ ისე, დროს მაინც ვკლავდი.

ვცხოვრობდით ჩვენთვის, მოწყენილობა არ გვემჩნეოდა. ერთთავად ჩემი დის ოთახში ვისხედით, იქ უფრო სიმყუდროვე იყო, ხანდახან ჩემი და მეტყოდა ხოლმე:

– ნახე, რა ღილკილო გამომივიდა! ნამდვილ სამყურას ჰგავს.

მე, სამაგიეროდ, ოთხკუთხა ქაღალდებს ვუჩვენებდი, ისიც ტკბებოდა უცხოური მარკების ცქერით. თავს მშვენივრად ვგრძნობდით. ფიქრს გადავეჩვიეთ. ცხოვრება, თურმე, უიმისოდაც შეიძლება, ყოველივე ეს რომ არ დასრულებულიყო, დასაწერიც აღარაფერი დამრჩებოდა.

ერთ საღამოს, დაძინების წინ, მომწყურდა, ვთქვი, სამზარეულოში გავალ, წყალს დავლევ-მეთქი. ზღურბლს გადავაბიჯე თუ არა, ხმაური შემომესმა. ვერ ვიტყვი, სამზარეულოდან თუ სააბაზანოდან (დერეფანი გვერდზე გადიოდა და გარჩევა ჭირდა).

ჩემი და ქსოვდა, მაგრამ იგრძნო, რომ შევყოვნდი და უმალ ჩემთან გაჩნდა. ორივემ ერთად მივაყურადეთ, ხმაური კარს იქიდან კი არა, ნამდვილად აქვე, დერეფნიდან, სამზარეულოდან თუ სააბაზანოდან ისმოდა.

ერთი-მეორეს თვალს ვარიდებდით. მერე, ჩემს დას ხელი ჩავავლე და უკანმოუხედავად წინაკარში გამოვიყვანე, ყრუ ხმაური თანდათან მატულობდა. კარი მივიხურე. წინკარში სიწყნარე იდგა.

– ეს მხარეც მიისაკუთრეს, – თქვა ჩემმა დამ.

ძაფი ძირს ეთრეოდა, გორგალი კარს იქით დარჩენილიყო, ამის დანახვაზე ირენემ საქსოვი გულგრილად დააგდო იატაკზე.

– თან არაფერი წამოგიღია? – ვკითხე სულელურად.

– არაფერი.

წამოვედით ასე ცარიელ-ტარიელნი. გამახსენდა, კარადაში თხუთმეტი ათასი პესო დამრჩა, მაგრამ გვიანღა იყო.

საათი ხელზე მეკიდა. ვხედავ, უკვე თერთმეტია. დას ხელი მოვხვიე (ის, მგონი, ტიროდა) და სახლიდან გამოვედით.

გულზე ნაღველი შემომაწვა. კარი მაგრად დავკეტე, გასაღები კი, წყალსადინარში მოვისროლე. არ მგონია, ამ დროს ვინმემ ქურდობა განიზრახოს, გავივლე გუნებაში, თანაც სახლი ხომ დაკავებულია!

ქონება ძველმანებს გადააყოლა

„მწვანე კონტინენტზე“ მცხოვრებმა, ასაკოვანმა მამაკაცმა საკომისიო მაღაზიას ძველი ჩემოდანი მიჰყიდა, რომლის სარჩულშიც 60 ათასი გირვანქა სტერლინგი იყო ჩამალული. როგორც გაირკვა, კაცისგან საიდუმლოდ, მისი ცოლი ფულს აგროვებდა და ძველ ჩემოდანში ინახავდა. როცა ამბავი შეიტყო, პენსიონერმა მიაკითხა საკომისიოს, მაგრამ ძველი ნივთი უკვე გაყიდული დახვდა. მყიდველის მოძებნას მაღაზია საკრედიტო ბარათების მეშვეობით შეეცადა, მაგრამ უშედეგოდ. მოგვიანებით, ავსტრალიის პოლიციამ დააკავა ქალი და მამაკაცი, რომელთაც იყიდეს ეს ძველი ჩემოდანი, ფულიც აღმოაჩინეს, მაგრამ მის კანონიერ მფლობელს არ დაუბრუნეს. თანხის უდიდესი ნაწილი, რომელიც ქვეყნის ბანკების სხვადასხვა ანგარიშებზე იყო გადანაწილებული, უკვე პატრონს დაუბრუნდა.

მსუქანი კაცები უფრო ერთგულები არიან

მამაკაცის სხეულის მასა პირდაპირპროპორციულია მისი უნარისა, პარტნიორის მიმართ ერთგულება შეინარჩუნოს – ამტკიცებენ ამერიკელი სწავლულები. ამის მტკიცებულება კი ძლიერი სქესის 5 ათასი წარმომადგენელია, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მათ ექსპერიმენტებში. ასე რომ, გამოთქმა „კაცის გულისკენ მიმავალი გზა კუჭზე გადის“, შეიძლება ახლებურად გავიაზროთ. მეუღლეს ღალატისგან თავი რომ აარიდებინოთ, მისი კარგად გამოკვება დაგჭირდებათ. ამერიკელების ფართომასშტაბიან გამოკვლევაში, 20-დან 27 წლამდე ასაკის მოხალისეები მონაწილეობდნენ. მათ დაახლოებით ნახევარს ჭარბი წონა ჰქონდა და სწორედ ამ ჯგუფში მუდმივი პარტნიორისადმი ღალატის პროცენტმა სულ 24% შეადგინა. სპორტული აღნაგობისა და გამხდარ მამაკაცებში ადიულტერისადმი მიდრეკილება 75%-მა გამოავლინა. ცოტა ხნით ადრე, ბრიტანლმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ ერთგულება პირდაპირკავშირშია ინტელექტის დონესთან. მასვე უკავშირდება პოლიტიკური ვნებები, რელიგიისადმი დამოკიდებულება და სექსუალური პოტენციაც.

გაჭაღარავებას გენი შეაჩერებს

სწავლულებმა დიდი ბრიტანეთიდან გენი აღმოაჩინეს, რომელიც გავლენას ახდენს თმის გათეთრებაზე. გენს, რომელიც მელანინის წარმოქმნას უწყობს ხელს, მკვლევარებმა IRF4 უწოდეს. კვლევების შედეგად გაირკვა, რომ სწორედ ეს გენი განაპირობებს არა მხოლოდ ადამიანის კანის ფერს, არამედ, თვალისა და თმის ფერსაც, მეტიც, მასზეა დამოკიდებული გაჭაღარავების პროცესიც. სწავლულთა ექსპერიმენტებში, 6 ათასზე მეტი მოხალისე მონაწილეობდა. მათგან ნახევარზე მეტს სუსტი სქესის წარმომადგენლები შეადგენდნენ ლათინოამერიკული ქვეყნებიდან: ბრაზილიიდან, ჩილედან, კოლუმბიიდან, მექსიკიდან და პერუდან. უახლოეს მომავალში, ბრიტანელი სწავლულები აპირებენ, ამ გენის გამოყენებით შექმნან პრეპარატი, რომელიც ადამიანის გაჭაღარავების პროცესს შეაჩერებს.

მეტი სექსი – მეტი ფული?

ყველაფრის გამომკვლევმა ბრიტანელმა სწავლულებმა კიდევ ერთი ექსპერიმენტი ჩაატარეს და დაამტკიცეს, რომ რამდენადაც ხშირადაა დაკავებული ადამიანი სექსით, იმდენად მეტ ფულს შოულობს. კემბრიჯის უნივერსიტეტის სპეციალისტების კვლევის მიხედვით, ადამიანები, რომელთა ინტიმური ცხოვრებაც შეიძლება მეტად დატვირთულად ჩაითვალოს, უფრო მეტ ფულს გამოიმუშავებენ. ეს ეხება, როგორც მამაკაცებს, ასევე, ქალებსაც, თუკი მათ კვირაში ოთხჯერ და მეტად აქვთ სასიყვარულო ურთიერთობა პარტნიორთან. ადამიანს უნდა უყვარდეს და თავადაც საყვარელი იყოს (არა მხოლოდ ფიზიკურად). ამის გარეშე, ბევრი მარტოობისკენ მიდრეკილი ხდება, აწუხებთ დეპრესია და ეს სამუშაოზეც აისახება – აცხადებენ სწავლულები.

მათი თქმით, ადამიანს ჯერ ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება აინტერესებს – საჭმელი და სექსი, მხოლოდ ამის შემდეგ აღწევს ის წარმატებას სხვა სფეროებშიც. თუ ამ ძირითადი მოთხოვნილებების უკმარისობას განიცდის, ადამიანი სხვა ფუნქციებს ცუდად ასრულებს. ბრიტანელების გამოკვლევაში, საბერძნეთში მცხოვრები 26-დან 50 წლამდე ასაკის, 8 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა. აღმოჩნდა, რომ ისინი, რომლებსაც კვირაში ოთხჯერ და მეტად ჰქონდათ სექსი, 5%-ით მეტს გამოიმუშავებდნენ, ვიდრე ამ სფეროში ნაკლებად აქტიურები. ეს ტენდენცია არ არის დამოკიდებული განათლების დონეზე, სექსუალურ ორიენტაციასა და პროფესიაზე.

კენკროვნები ყველაზე სასარგებლოა

ცნობილმა გამოცემა „ფორბსმა“, საკუთარ მკითხველებს ყველაზე სასარგებლო პროდუქტების სია წარუდგინა. სიის შედგენისას, ექსპერტები აფასებდნენ პროდუქტის სასარგებლო თვისებებს, მასში არსებული ვიტამინებისა და მინერალების რაოდენობით, რომელთაც ისეთი საშიში დაავადებების თავიდან აცილება შეუძლიათ, როგორებიცაა სიმსივნე, ინფარქტი და ინსულტი, მაგრამ გარდა ამისა, წნევასაც არეგულირებს. მენიუში ასეთი პროდუქტების რეგულარული არსებობა ხანგრძლივი და ჯანსაღი ცხოვრების საწინდარია. ყველაზე სასარგებლო პროდუქტების სია 12 პოზიციისგან შედგება. სპეციალისტებმა პირველი ადგილი კენკრას – ჟოლოს, მოცვსა და მარწყვს მიანიჭეს. ანტიოქსიდანტებისა და უჯრედისის მაღალი დონის, ასევე, ელაგენური მჟავას წყალობით, რომელიც სიმსივნური უჯრედების ზრდასა და ცხიმის დაგროვებას უშლის ხელს, შეგვიძლია, ეს კენკროვნები ადამიანისთვის ყველაზე სასარგებლო საკვებად მივიჩნიოთ.

ონკოლოგიური დაავადებების, შაქრიანი დიაბეტისა და ჭარბი წონის ეფექტური პროფილაქტიკისთვის, საუკეთესოა კაკალი და პარკოსნები. ჯანსაღი რაციონის უმნიშვნელოვანესი ელემენტია ცხიმიანი თევზი, რომელიც არეგულირებს წნევას, გულსისხლძარღვთა მუშაობას და უზრუნველყოფს ტვინის აქტიურობას. ცხოველური საკვებიდან საუკეთესოა კვერცხი. სჯობს, მოხარშული კვერცხი მიირთვათ, რადგან ასე უფრო სასარგებლოა. ჩინური კომბოსტო და ბროკოლი სწრაფად უმკლავდება ტოქსინებს და ეფექტურად იცავს ორგანიზმს კიბოსგან. ხახვი და ნიორი აძლიერებს იმუნიტეტს, სასიკეთო გავლენას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობაზე. თუმცა უფრო მეტად ეს პროდუქტები უმად უფრო სასარგებლოა და არა ბოსტნეულის სუპებში, როგორც გვჩვევია ხოლმე, მათი მოხმარება.

კვების იდეალური სქემა შეადგინეს

გამოკვლევამ, რომელიც ცოტა ხნის წინ ჩატარდა, დაადგინა, რომ წონაში მოსაკლებად აუცილებელია არა მხოლოდ დიეტის, არამედ, კვების რეჟიმის მკაცრი დაცვაც. ეს ინფორმაცია სწავლულებმა დიეტაზე მყოფ 1000 მოხალისეზე ჩატარებული ექსპერმენტის შედეგად დაამტკიცეს. სპეცისლიატების თქმით, გახდომის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანია არა ის, რამდენს მიირთმევთ, არამედ – როდის მიირთმევთ. სწავლულები ასეთ სქემას გვტავაზობენ: საუზმისთვის იდეალური დროა – 7:11, სადილისთვის – 12:38, ვახშმისთვის – 18:14. თუკი დილით შედარებით გვიან გაიღვიძეთ, ან გსურთ ლანჩი მიირთვათ, სჯობს, ეს დაბალკალორიული პროდუქტებით გააკეთოთ, რომლებიც ცხიმის მინიმალურ რაოდენობას შეიცავენ. უნდა გახსოვდეთ, რომ საუზმე – საკვების მიღების ძირითადი დროა და მასზე უნდა მოდიოდეს მაქსიმალური ენერგეტიკული ღირებულებები. თუ ადამიანი არ საუზმობს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად წააწყდება ჯანმრთელობის პრობლემებს. მეცნირებმა გამოკითხვაც ჩაატარეს, რომლითაც, რესპონდენტების 84% მიიჩნევს, რომ რეჟიმის დაცვა განსაკუთრებით აუცილებელია გასახდომად. უმრავლესობა დაეთანხმა იმ აზრს, რომ წონის მოსაკლებად, ადრე ვახშმობა და შვიდი საათის შემდეგ საკვებზე უარის თქმაა აუცილებელი. გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა კი აღიარა, რომ მავნე პროდუქტებისკენ გული განსაკუთრებით საღამოს მიუწევთ ხოლმე, მით უმეტეს, თუ ტელევიზორს უყურებენ, ან სადმე წვეულებაზე არიან.

დრაკონთან მსგავსებისთვის ყურები მოიჭრა

აშშ-ში, არიზონას შტატის მცხოვრებმა, რომელიც სქესის შეცვლას აპირებდა, ყურები მოიჭრა და ცხვირის ფორმა შეიცვალა, რათა დრაკონს დამსგავსებოდა. რამდენიმე წლის წინ, ევა ტიამატ მედუზამ არაერთი მტკივნეული კოსმეტიკური ოპერაცია გადაიტანა, მათ შორის, სახის ტატუირება და შუბლში მეტალის ფირფიტების ჩადგმა. ბანკის ყოფილმა თანამშრომელმა მწვანედ შეიღება თვალის გუგები და მკერდზე ქერცლის მსგავსი ნახატი დაიტანა. ამგვარი გარდასახვის შემდეგ, ცხვირის ფორმა შეიცვლა და ყურებიც მოიჭრა. 55 წლის ამერიკელი ახლა სასქესო ორგანოების მოცილების ოპერაციისთვის ემზადება. ამ უცნაური ადამიანის თქმით, ყველა პროცედურის გავლის შემდეგ, ის იმედოვნებს, რომ სრულად დაემსგავსება მისტიკურ არსებას.

მოთმინება სიცოცხლეს ახანგრძლივებს

ზოგადად, ქალებს უჭირთ, რომ მომთმენები იყვნენ, რადგან სინგაპურის ნაციონალური უნივერსიტეტის სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ სუსტი სქესის მოუთმენელი წარმომადგენლები უფრო სწრაფად ბერდებიან. კვლევებში 1 200-მდე ჯანმრთელი ჩინელი სტუდენტი მონაწილეობდა. მათ ასარჩევად ორ ვარიანტს სთავაზობდნენ: დაუყოვნებლივ მიეღოთ 100 დოლარი ან დაეცადათ და უფრო დიდი ჯილდოს მფლობელები გამხდარიყვნენ. სწავლულებმა არჩევანის შემდეგ მოხალისეების ტელომერების სიგრძე გაზომეს, რომელიც ქრომოსომების დაბოლოებაზეა განთავსებული, მათი სიგრძით კი სიცოცხლის ხანგრძლივობა და სხვადასხვა დაავადების რისკი დგინდება. ექსპერიმენტის შედეგად გაირკვა, რომ მოუთმენელ ქალებში ლეიკოციტების ტელომერები უფრო მოკლეა. მამაკაცებში კი ასეთი კავშირი არ გამოვლინდა.

„ჭკვიანი“ მარლა ინფექციისგან დაგიცავთ

ავსტრალიელმა სწავლულებმა ახალი თაობის მარლა შექმნეს, რომელიც ნანო-ბოჭკოების დახმარებით, ბაქტერიებს ანადგურებს. „ჭკვიანი“ სახვევი მელბურნის სამეფო ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მეცნიერებმა შეიმუშავეს. გარდა ამისა, ინფექციის შემთხვევაში, მარლა ფერადად ანათებს. ჭრილობის მჟავა-გარემო, ბაქტერიების გამრავლების შემთხვევაში, ზომიერად ტუტე-გარემოდ გარდაიქმნება. ნანო-ბიჭკოები რეაგირებს ამ ცვლილებაზე და ფლუორესცენტების დახმარებით, ულტრაიისფერი შუქის ქვეშ ნათებას იწყებს. ასე რომ, თუ ჭრილობაში ინფექცია შეიჭრა, „ჭკვიანი“ სახვევი ამ მდგომარეობას შეგატყობინებთ.

მარტივი ტესტი მკერდის კიბოს დასადგენად

სწავლულებმა სუნთქვის ტესტის აპარატი გამოიგონეს, რომელსაც მკერდის კიბოს დადგენა 10 წუთში შეუძლია. როგორც მკვლევარები ამბობენ, ტესტირება დღეს არსებული, საკმაოდ არაკომფორტული მამოგრაფიის ალტერნატივაა. ხელსაწყო, რომელსაც The Breath Link უწოდეს, ამერიკულ კომპანიაში შექმნეს და ის ევროპაში უკვე გაყიდვაშია. მისი გამოყენება ძალიან მარტივია – პაციენტი აპარატში ჩაისუნთქავს, ხელსაწყო ჰაერით ივსება, რომელიც ქიმიკალების დონეს აანალიზებს. თუ ქიმიკალი მკერდის კიბოს არსებობას აჩვენებს, კომპიუტერი ექიმს შედეგს აცნობებს.

როგორც ხელსაწყოს ავტორები ამბობენ, მათი ქმნილება ისეთივე სიზუსტით მუშაობს, როგორც მამოგრაფიის მოწყობილობა. მკვლევართა განცხადებით, ვიდრე ეს პრაქტიკა დაინერგება, ან ვიდრე მკერდის კიბოს სკრინინგისთვის ერთადერთ ალტერნატივად გამოცხადდება, საჭიროა ჯერ კიდევ ბევრი გამოკვლევის ჩატარება და მუშაობა. მედიკოსების განცხადებით, ამ ეტაპზე, დაავადების აღმოჩენის სიზუსტე დაბალია.

მარცვლეულის პროდუქტები დიბეტისგან გვიცავს

სპეციალისტები აშშ-ს დიეტოლოგტა ასოციაციიდან ირწმუნებიან, რომ ახალი მარცვლეულისგან დამზადებული პროდუქტები ბევრი სენისგან გვიცავს, მათ შორის, დიაბეტისა და ონკოლოგიური დაავადებისგანაც კი. სწავლულებმა განაცხადეს, რომ მარცვლეულს პროფილაქტიკური თვისებები, მასში არსებული, დიდი რაოდენობით სასარგებლო ინგრედენტების გამო აქვს. მარცვლეულის პროდუქტებში, მაგალითად, პურსა და ბრინჯში დიდი რაოდენობით მცენარეული უჯრედისი, ფოლატი, ნიაცინი, „ბე“-ჯგუფის ვიტამინები და მაგნიუმია. ასეთი საკვების რეგულარულად მოხმარება, დიეტოლოგების განცხადებით, აღკვეთს გულსისხლძარღვთა დაავადების, შაქრიანი დიაბეტისა და ზოგიერთი სახეობის სიმსივნის განვითარებას. ექსპერტებმა გამოთვალეს – იმისთვის, რომ საკმარისი რაოდენობით სასარგებლო ნივთიერებები მივიღოთ მარცვლეულისგან, ადამიანს დღეში 48 გრამი ესაჭიროება. ამ შემთხვევაში მოგვცემს პროდუქტი საჭირო პროფილაქტიკურ ეფექტს და დააქვეითებს მწვავე და ქრონიკული დაავადებების განვითარების რისკს.

ყველაზე ხმაურიანი ქვეყანა გამოავლინეს

აკუსტიკისა და აუდიოკორექციის საკითხებით დაკავებული საერთაშორისო კომპანიის გამოკვლევების მიხედვით, ესპანეთის მოსახლეობის 70%-ზე მეტი, ზედმეტად ხმაურიან პირობებში ცხოვრობს. ადამიანის სმენის ორგანოზე ზემოქმედების მხრივ, ყველაზე უსიამოვნო ადგილებად ქვეყნის მცხოვრებნი ქუჩის ხმაურს ასახელებენ, რომელიც ტრანსპორტის მოძრაობითა და სამშენებლო-სარემონტო ხელსაწყოების გამოყენებით ჩნდება. გამოკითხულთა 60% მას ნორმალური ცხოვრების მთავარ "დამრღვევად" ასახელებს. სპეციალისტთა განცხადებით, პირველი წელი არ არის, რაც ესპანეთი ევროკავშირში ყველაზე ხმაურიან ქვეყნად მიიჩნევა. ამ მაჩვენებლით, ის მეორე ადგილს იკავებს მსოფლიოში და მხოლოდ იაპონიას ჩამოუვარდება. დაახლოებით, 9 მილიონი ესპანელი ისეთ ხმაურში ცხოვრობს, რომლის დონე 65 დეციბელს – ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დადგენილ ზღვარს აღემატება. ამ დონის გადაჭარბება კი ადამიანის ორგანიზმს პათოლოგიური ცვლილებებით ემუქრება.

ღვინო კატებისთვისაც ჩამოასხეს

ამომავალი მზის ქვეყანაში, მაღაზიებში ახალი პროდუქტი გაჩნდა – ღვინო კატებისთვის, რომელსაც Nyan Nyan Noveau უწოდეს. 180-მილილიტრიანი ბოთლის ღირებულება, დაახლოებით, 4 დოლარია. მისი ავტორია კომპანია B&H Lifes-ი, რომელიც ცხოველების საკვებს აწარმოებს. ფირმის წარმომადგენელთა განცხადებით, ახალი პროდუქტი იმ კატებისთვისაა განკუთვნილი, რომელთა პატრონებიც განიცდიან, რომ მათი საყვარელი ოთხფეხა მეგობრები მათთან ერთად ვერ ზეიმობენ შობასა თუ დაბადების დღეს, ან სხვა დღესასწაულებს. ალკოჰოლი კატების სასმელში, რასაკვირველია, არ არის. ღვინო შედგება კაბერნეს ჯიშის ყურძნის წვენისგან, რომელსაც დამატებული აქვს ვიტამინები, პიტნა და სხვა სასარგებლო ნივთიერებები. კომპანიაში აცხადებენ, რომ სასმელი კლიენტების მრავალრიცხოვანი თხოვნის შემდეგ გამოუშვეს. აღსანიშნავია, რომ ამავე ფირმას ეკუთვნის ძაღლების ლუდი – Wan Wan Beer, რომელიც დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს იაპონიაში.

თუთიყუშმა პატრონის ბრილიანტები გადაყლაპა

ინციდენტი ტაილანდში მოხდა. თუთიყუშ „ფროსტის“ პატრონმა აღმოაჩინა, რომ მის ძვირადღირებულ ყელსაბამს 21 ბრილიანტი აკლდა. ძვირფასი ქვები იქიდან ქალბატონის საყვარელმა ფრინველმა ამოკენკა და გადაყლაპა. თუთიყუში პატრონის ზარდახშაში ჩაძვრა და ყელსაბამი „გაძარცვა“. ცოტა ხნის შემდეგ, „ფროსტი“ დასუსტდა და საკვებზეც უარს ამბობდა. მზრუნველმა პატრონმა ის ვეტერინართან წაიყვანა, სადაც მას რენტგენი გადაუღეს. ქალის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა სურათზე მძივების მსგავსი ობიექტები აღმოაჩინეს. ფრინველს სასაწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა, მისი კუჭიდან ბრილიანტები ამოიღეს და პატრონს დაუბრუნეს. „ქურდ“ თუთიყუშს კი კლინიკაში ერთი კვირით დარჩენა მოუწევს, ვიდრე ჭრილობა არ შეუხორცდება.

მოდების უჩვეულო ჩვენება გაიმართა

ცოტა ხნის წინ, უკრაინის დედაქალაქში, მოდების მეტად უჩვეულო ჩვენება გაიმართა – დეფილეზე მიცვალებულებისთვის განკუთვნილი ტანსაცმელი წარადგინეს. მოდელები პოდიუმზე კუბოში ჩასვენებულები გამოჰყავდათ. ეს ყველაფერი კიევში, დაკრძალვის კულტურის გამოფენა – RIP Expo-2021-ის შემადგენელი ნაწილი იყო. გამოფენაზე წარადგინეს ანიმეს სტილის კუბოები, მოდის მოყვარულებს კი Supreme-ს ლოგოტიპებით აჩვენეს. ღონისძიების ფარგლებში, შესაძლებელი იყო კრემაციის შედეგად მიღებული ფერფლისგან დამზადებული ბრილიანტების დათვალიერებაც.

ბალი ახალგაზრდობას გაგიხანგრძლივებთ

აშშ-ს სოფლის მეურნეების სამინისტროში დაითვალეს, რომ ერთ ჭიქა ბალში 1.5გრამი ცილა, 3 გრამი უჯრედისი, უამრავი ვიტამინი და საკვები ნივთიერებაა. ეს ხილი გაგიხანგრძლივებთ ახალგაზრდობას და ძილის ხარისხსაც გაგიუმჯობესებთ. სპეციალისტები ამბობენ, რომ ბალს შეუძლია ნაოჭების გაჩენის ვადა გადაწიოს. ის მდიდარია „ცე“-ვიტამინით და სხვა ანტიოქსიდანტებით, რომლებიც ახშობენ ანთებას ორგანიზმში. ბალს

შეუძლია დაგვეხმაროს სიმსივნის განვითარების რისკის დაწევაში. ტკბილი ბალი შეიცავს პოლიფენოლებს – სასარგებლო ნაერთებს, რომელთაც სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედება აქვთ. ამ ხილის კიდევ ერთი თვისება – სისხლის წნევის დაწევა ყოფილა. გარდა ამისა, ის ანელებს კოგნიტური უნარების დაქვეითების პროცესსაც. ანტოციანების, პოლიფენოლური ანტიოქსიდანტების წყალობით, ბალი ტვინის ფუნქციასა და მეხსიერებას აუმჯობესებს. ის სასარგებლოა მეორე ტიპის დიაბეტის მქონე ადამიანებისთვის.

ყბების საკეტი – წონაში დასაკლებად!

სწავლულებმა ახალი მოწყობილობა – DentalSlim Diet Control შექმნეს, რომელიც ადამიანს გახდომაში უნდა დაეხმაროს. ეს ერთგვარი პირის საკეტია. მაგნიტების საშუალებით, ის ხელს უშლის ადამიანს, პირი ორ მილიმეტრზე მეტად გააღოს. მოწყობილობა ახალზელანდიელმა მკვლევარებმა შექმნეს, ოტაგოს უნივერსიტეტიდან. მათი მოსაზრებით, მოწყობილობა, რომელიც პირში სტომატოლოგებმა შეიძლება დაამაგრონ, ადამიანს ხელს შეუშლის მყარი საკვების მიღებაში და შედეგად, წონაში დაკლებას განაპირობებს. თუმცა, როგორც ექსპერიმენტში მონაწილეები აცხადებდნენ, მოწყობილობა მეტად მოუხერხებელი და რთულია, ის საუბარშიც უშლიდათ ხელს. სიახლემ ბევრი ადამიანის კრიტიკაც დაიმსახურა – მას შუა საუკუნეების წამების იარაღი უწოდეს. მისი ავტორები კი აცხადებენ, რომ „ქირურგიული ჩარევების უფრო ეკონომიური და მიმზიდველი ალტერნატივაა“. კვლევამ ყბების მაგნიტური საკეტის ეფექტურობა დაადასტურა – ორი კვირის განმავლობაში, ექსპერიმენტის მონაწილეებმა სხეულის მასის დაახლოებით 5% დაიკლეს.

პირველი კოსმოსური ლიცენზია გაიცა

აშშ-ს სამოქალაქო ავიაციის ფედერალურმა სამსახურმა ნება დართო რიჩარდ ბრენსონის კომპანიას – Virgin Galactic, კოსმოსური კომერციული ფრენები შეასრულოს. კოსმოსში ტურისტების გასაგზავნად, ფირმამ მსოფლიოში პირველი ლიცენზია მიიღო. ჯერჯერობით, უცნობია, როდის განხორციელდება პირველი კომერციული გაფრენა. კომპანია საცდელ ფრენებს ატარებს სამ კოსმოსურ ხომალდზე, რომლებსაც ორი პილოტისა და ექვსი მგზავრის წაყვანა შეუძლიათ. ცოტა ხნის წინ შესრულებული წარმატებული საცდელი ფრენებისას, სასტარტო პლატფორმამ ხომალდი 13.5 კილომეტრის სიმაღლეზე აიყვანა, ამის შემდეგ, დაახლოებით, 89 კილომეტრის სიმაღლეზე ავიდა და უკან, დედამიწაზე დაბრუნდა.

აუცრელებს საზოგადოებრივ ადგილებში არ დაუშვებენ

არაბთა გაერთიანებული საემიროების დედაქალაქ აბუ-დაბიში, აუცრელ მოქალაქეებსა და ტურისტებს საზოგადოებრივი თავშეყრის უმეტეს ადგილებში შესვლას აუკრძალავენ. აკრძალვები, რომლებიც ერთ თვეში ამოქმედდება, საგანგებო სიტუაციების კომისიამ უკვე მოიწონა. ვისაც კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია არ ექნება ჩატარებული, ვერ შევა სავაჭო ცენტრებში, რესტორნებში, კაფეებში, სავარჯიში დარბაზებში, მუზეუმებში, თემატურ პარკებსა და კურორტებზე. აკრძალვა ვრცელდება უნივერსიტეტებზე, სახელმწიფო და კერძო სკოლებზე, საბავშვო ბაღებზე. გამონაკლისი დაუშვეს 15 წლამდე ბავშვებზე და იმ ზრდასრულებზე, რომლებისთვისაც არ შეიძლება აცრა, სამედიცინო ჩვენებიდან გამომდინარე. შეზღუდვები არ გავრცელდება მხოლოდ იმ მაღაზიებზე, რომლებიც პირველადი მოხმარების პროდუქტებით ვაჭრობენ და აფთიაქებზე. ბოლო მონაცემებით, ქვეყანაში მოქალაქეთა და რეზიდენტთა 85%-მა ერთი დოზა ვაქცინა უკვე მიიღო.

გონებრივი ჩამოჩენილობის განკურნება შესაძლებელია?

მასაჩუსეტსის ტექნილოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა, მსოფლიოში პირველებმა, გონებრივი ჩამორჩენილობის განკურნება მოახერხეს, რომელიც გავრცელებული გენეტიკური დაავადებით იყო გამოწვეული. გენური თერაპიის მეშვეობით, მკვლევარებმა მარტინ-ბელის სინდრომით დაავადებულ თაგვებში ტვინის უჯრედების აღდგენა და ასევე მათი ქცევის ნორმალიზება შეძლეს. მარტინ-ბელის სინდრომი – ეს მემკვიდრეობითი დაავადებაა, რომელიც X-ქრომოსომაში FMR1 გენის მუტაციითაა გამოწვეული. დაავადება ბავშვებში გონებრივ ჩამორჩენილობასა და მეტყველების შეზღუდვას, ყურადღების კონცენტრაციის დარღვევას, ხასიათის ცვალებადობას, აუტიზმის სინდრომებს იწვევს.

ავადმყოფებს დამახასიათებელი გარეგნობაც აქვთ: უჩვეულოდ მაღალი შუბლი, სახის არაპროპორციული ნაკვთები, გადიდებული ყურის ნიჟარები. მარტინ-ბელის სინდრომი 4 000 ბიჭიდან ერთს, გოგონებში კი 6 000-დან ერთს უვითარდება. ამ სინდრომისას ზიანდება დენდრიტები – ნერვული უჯრედების წანაზარდები, რომლებიც სინაპსების (ნაერთები ნერვულ უჯრედებს შორის) ჩამოყალიბებაში მონაწილეობენ. დაავადებისას იზრდება დენდრიტების რაოდენობა, ხდება მათი დაგრძელება და დაწვრილება, რასაც თავის ტვინის ნეირონებს შორის ელექტრული სიგნალის გადაცემის დარღვევამდე მივყავართ.

ექსპერიმენტის მიმდინარეობისას, ჯანმრთელ მღრღნელებში, ერთი საინტერესო მოვლენა შენიშნეს – აღმოჩნდა, რომ თავის ტვინში ფერმენტის ბლოკადას, სახელწოდებით PAK, სრულიად საპირისპირო ეფექტამდე მივყავართ, რაც მარტინ-ბელის სინდრომისას შეინიშნება: მცირდება დენდრიტების რაოდენობა, ხდება მათი დამოკლება და გასქელება. მეცნიერებმა თაგვების ისეთი ხაზი გამოიყვანეს, რომელთაც ერთდროულად სინდრომის გენიც ჰქონდათ და PAK-ის გენის დეფექტური ვარიანტიც. ამ უკანასკნელმა ფერმენტის სინთეზის დარღვევა გამოიწვია, რომელიც თაგვების დაბადებიდან ერთი თვის შემდეგ გამოვლინდა.

საცდელ თაგვებს აღენიშნებოდათ მარტინ-ბელის სინდრომის ნიშნები: ჰიპერაქტიურობა, უაზრო და გამეორებადი მოძრაობები. ერთი თვის შემდეგ, ანუ იმ პერიოდში, როცა ფერმენტის ბლოკირება ხდებოდა, სინდრომის ყველა სიმპტომი ან გაქრა, ან მნიშვნელოვნად შემცირდა. გამოკვლევებისას კი ცხოველებს ნერვული უჯრედების დენდრიტების ნორმალური რაოდენობა აღმოაჩნდათ. სწავლულები მიიჩნევენ, რომ მარტინ-ბელის სინდრომით დაავადებული ბავშვების სამკურნალოდ, სულაც არ არის საჭირო გენეტიკური თერაპია. სამკურნალო პრეპარატის შექმნა შეიძლება ერთ-ერთი ცნობილი ნაერთის საფუძველზე, რომელიც PAK-ის ფერმენტის მოქმედების ბლოკირებას ახდენს.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.